ქართველთა ნატვრისა და ოცნების ახდენა გარდაუვალია!

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჩმინდა საქმეში, რეგორც ბეჭდვები სიფცვაა, ფაფიოებით და ჭოტებით ბუტთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 29 ოქტომბერი. 2016 წ. №202 (8094), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

უმრავლესობა ჩვენა ვართ!

არც ერთ კეთილგონიერ საქართველოს მოქალაქეს, არც ერთ სამშობლოზე მოფიქრალ ქართველს ეჭვი არ ეპარება, რომ არასახელმწიფოებრივად, არაეროვნულად განწყობილმა თავკერძა ვიწროპარტიულმა პოლიტიკურმა სექტამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 2003 წლის შემდეგ გასულ დროში, განსაკუთრებით კი ხელისუფლების სათავეში ყოფნის წლებში, აშკარად ნეოფაშისტური ძალადობრივი ხერხებით შეძლო იმ გველეშაპად ქცევა, რომელმაც უამრავი მართალი ადამიანი მსხვერპლად შეიწირა და მთელი ქვეყანა თავის გემრიელ ლუკმად, ყოველდღიურ ცხვრის სათლელ დუმად აქცია და დღესდღეობით აგრერიგად ფინანსურად გაძლიერებული საარჩევნოდ არა და არ აპირებს ფარ-ხმლის დაყრას. კვლავ ჩვეულ ყოველგვარ უღირს და ბინძურ პოლიტიკურ ხერხს მიმართავს ძალაუფლების დასაბრუნებლად და ხელისუფლებაში ისევ მოსასვლელად, რაც, ცხადია, ამ მავნე პოლიტიკური ძალის ფუჭი, აუხდენელი ოცნებაა, რადგან ჩვენი ხალხის დიდმა უმრავლესობამ თვალნათლივ დაინახა, რა ვაჟბატონებიც ბრძანდებიან საქართველოს ეს უსირცხვილოდ მძარცველი და მყვლეფელი ცხვრის ტყავში გახვეული რუხი მგლები.

ამიტომაც დაუპირისპირა ხალხმა ამ მგლების ფუჭ და აუხდენელ ოცნებას თავისი სანუკვარი გულისთქმა, თავისი ქართული ოცნება, რომელმაც ჭეშმარიტ თავისუფლებასთან ერთად სწრაფი განვითარება და უტყუარი კეთილდღეობა უნდა მოუტანოს ქვეყანას.

მგლები თავიანთ საბრძოლო ყმუილს იმით ამართლებენ, თითქმის ნახევარი მილიონი ხალხი გვიჭერს მხარსო, ეს მაშინ, როცა დანარჩენი სამ მილიონზე მეტი ამ ცხვრის ტყავგადაცმულ მგლების სასტიკი წინააღმდეგია.

ხვალ, 30 ოქტომბერს, სწორედ ეს სამ მილიონზე მეტი საქართველოს მოქალაქე უკვე მეორედ დაამტკიცებს, რომ, როგორც პირველ ტურში, ისე მეორე ტურშიც, მხარს უჭერს არა მგლების, არამედ თავიანთ ნანატრ გულისწადილს, თავიანთ ქართულ ოცნებას.

მგლების უკვე გამოაშკარავებული ვიწროპარტიული, ქვეყნისა და ხალხის ყაჩაღურ ძარცვაზე ავად გამიზნული შავი ოცნება ამჯერად უკვე ერთხელ და სამუდამოდ იგემებს მარცხს ქართველი ხალხის, ქართული ოცნების წინაშე.

ღვთისმშობლის წილხვედრი მიწა-წყლის მკვიდრი ხალხის კეთილი ნატვრა და ოცნება ყოველთვის იმარჯვებდა, იმარჯვებს და კვლავაც გაიმარჯვებს.

30 ოქტომბერი ყოველგვარი ძალადობისგან თავისუფალი, სწრაფი განვითარების გზაზე შემდგარი და საერთო-სახალხო კეთილდღეობისკენ მიმავალი საქართველოს გამარჯვების დღეა!

ნაცქალუკა ④

„გაევროპელებული“ ქარიქნა

ნუ მოვალორებინებთ თავს ნაცებს! ②

ამის გაფიქრებაც კი ⑨ ჯოჯოხეთია!.. რას გვიმზადებს რუსეთი?

გაზეთს ⑦ მკითხველი აცოცხლებს

გამოიწერე, მადლობელი დარჩები!

⑤ „ამირანს“ სვანეთი ელოდება! ⑤



დიდი ხელოვანი ვახტანგ ონიანი

გიორგი კვირიკაშვილი:

მრავალი წარმატებული რეფორმა საქართველოში ევროკავშირის თანადგომის შედეგია

ევროკავშირი ამაყობს იმით, რომ საქართველოს მთავრობისთვის არის მაგალითი **და ამავე დროს, მისი ძალისხმევის მხარდამჭერი,** – ამის შესახებ ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ერთად გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

ევროკავშირმა, 30 მილიონი ევროს ღირებულების დახმარების გამოყოფის თაობაზე, საქართველოსთან ხელშეკრულება გააფორმა – საქართველოს საჯარო მმართველობის სფეროს განვითარების მხარდაჭერის პროგრამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა და ევროკავშირის ელჩმა იანოშ ჰერმანმა ერთობლივი განცხადებები გააკეთეს.

ევროკავშირის ელჩის შეფასებით, საჯარო მმართველობა არის ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ხერხემალი, რომელზეც დამოკიდებულია ქვეყნის მოსახლეობის ნდობა საჯარო უწყებებისადმი. მისი თქმით, ევროკავშირის მხარდაჭერის პროგრამა დაეხმარება საქართველოს საჯარო მმართველობის სფეროს განვითარებაში.

„საქართველოს ეროვნული რეფორმების სტრატეგია, რომელიც 2015 წელს დამტკიცდა, ეფუძნება საჯარო ადმინისტრირების ევროპულ პრინციპებს. საჯარო ადმინისტრირების რეფორმა არის ჩვენი ერთობლივი მიზანი, ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში. ეს რეფორმა არის ამ შეთანხმების მნიშვნელოვანი კომპონენტი. ეჭვგარეშეა, ჩვენ ვაღიარებთ საჯარო ადმინისტრირების რეფორმის მნიშვნელობას,რომელზეც მიმართულია ევროკავშირის ფინანსური დახმრების 25 პროცენტი. რეფორმების მხარდაჭერის ფარგლებში, დღეს გამოვაცხადეთ 30 მილიონი ევროს ოდენობის დახმარების გამოყოფის შესახებ. ევროკავშირის კონტრიბუცია არის, როგორც ფინანსური – ბიუჯეტის მხარდაჭერის გზით, ასევე ტექნიკური, ექსპერტების მობილიზების, ადმინისტრაციული პოტენციალის გაძლიერების გზით“, – აღნიშნა იანოშ ჰერმანმა.

მან განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა საქართველოს პრემიერ-ministრ გიორგი კვირიკაშვილს საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელებისთვის გამოჩენილი ძალისხმევისა და ევროკავშირთან წარმატებული დიალოგისთვის.

„ნება მიბოძეთ, პირადად გადაგიხადოთ მადლობა ჩვენი საერთო ღირებულებებისადმი თქვენი განსაკუთრებული ყურადღებისთვის. მსურს, ასევე, გამოვიყენო შესაძლებლობა და შევაქო ევროკავშირსა და საქართველოს შორის დიალოგის ხარისხი. ამ პროგრამის მზადების მთელი პროცესი ასახავდა ჩვენს შორის პარტნიორობის მაღალ დონეს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ პროგრამის განხორციელების მთელი პროცესი ამ სულისკვეთებით გაგრძელდება. მზად ვართ, ვითანამშრომლოთ დღეს წარმოდგენილი პროგრამის მიზნების მისაღწევად“, – აღნიშნა ჰერმანმა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა მნიშვნელოვანი რეფორმის განხორციელებაში ევროკავშირის დახმარება ევროპელი მეგობრებისა და პარტნიორების მხრიდან გაწეულ დიდ მხარდაჭერად შეაფასა და თანამშრომლობისთვის განსაკუთრებული მადლობა გადაუხადა ევროკავშირის ელჩს.

„მინდა, მადლობა გადავუხადო ევროკავშირის წარმომადგენლობას, პირადად ბატონ ელჩს, გაწეული დახმარებისა და თანამშრომლობისათვის. ევროკავშირი ერთ-ერთი უდიდესი დონორია, რომელიც უკვე მრავალი წელია, აქტიურად გვეხმარება ქვეყნის დემოკრატიული და ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების საქმეში. მრავალი წარმატებული რეფორმა საქართველოში სწორედ ევროკავშირის თანადგომის შედეგია. მხოლოდ 2011 წლიდან დღემდე, გრანტებისა და ტექნიკური დახმარების სახით, საქართველომ ევროკავშირისგან 450 მილიონზე მეტი ევრო მიიღო. ასევე, მადლობას ვუხდი ყველას, ვინც ჩვენი ქვეყნისათვის ამ მნიშვნელოვანი სფეროს რეფორმირებაში აქტიურად გვიჭერს მხარს, იქნება ეს საქართველოში მოქმედი დონორი და საერთაშორისო ორგანიზაცია თუ ჩვენი არასამთავრობო სექტორი“, – განაცხადა პრემიერმა.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, რეფორმა, რომელიც საჯარო მმართველობის სფეროში განხორციელდება, უმნიშვნელოვანეს როლს შეასრულებს საქართველოში დემოკრატიის განვითარების, ძლიერი და დამოუკიდებელი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობისა და ეკონომიკური წინსვლის კუთხით. მისივე განმარტებით, მმართველობის რეფორმა საქართველოს მთავრობის მიერ გამოცხადებული ოთხპუნქტიანი გეგმის ერთ-ერთი მიმართულებაა და ამავე დროს, არის ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი უმნიშვნელოვანესი ვალდებულება.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ საქართველოსა და ევროკავშირის თანამშრომლობა საჯარო მმართველობის სფეროში კიდევ უფრო გააღრმავებს მჭიდრო ურთიერთობებს და მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ევროკავშირთან ინტეგრაციის საქმეში.

საჯარო მმართველობის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებულია 30 მლნ ევროს ღირებულების საბიუჯეტო და ექსპერტული დახმარება.

საჯარო მმართველობის რეფორმა, რომელიც მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, მთავრობის ადმინისტრაციის კოორდინაციით, 2014 წლიდან ხორციელდება და გამჭვირვალე, პროგნოზირებადი, პასუხისმგებელი და ეფექტური სახელმწიფო მართვის სისტემის შექმნასა და განვითარებას გულისხმობს.

◎ ადუღებული დრო

ნუ მოვატყუებინებთ თავს ნაცებს!

წლევანდელი ოქტომბერი გამორჩეულად ცივი და პირქუშია. ვერ გვშველის ზოგიერთი მზიანი, თბილი დღის მეჩხერად გამორევა. თუმცა საყოველთაო „ადრე დაზამთრებას“ ის „ათბუნებს“, რომ მიმდინარე საპარლამენტო არჩევნები გასახარად წარიმართა: „ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად, პირდაპირ ნოკაუტით მოუგო ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომელმაც თავი წასჭამა ელექტორატს – უეჭველად ვიმარჯვებთ, უკვე 9 ოქტომბერს, დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, პირდაპირ ხელდაკაპიწებულები ვიწყებთ მუშაობასო.

შარახვეტია დავით ბაქრაძე თავისი ცნობილი ქლესა-ქოსმენური ღიმილით, დამაძინებელი ლუღლუღით... და ჩინეთიაპონიის ჯაშუშის სიფათის მქონე გიგა ბოკერია ისე იოლად, ისე დამაჯერებლად, ისე ლაღად წარმოგვიჩენდნენ ნაცების მომავალ გამარჯვებას, რომ ამომრჩევლები შეჩქვიფდნენ, შეშინდნენ – ეშმაკს არ სძინავს, ამ უკუღმართებმა მართლა რამე არ იხიმანდრონო და საარჩევნო ბიულეტენები სულ 41-ის შემოხაზული რგოლუკებით ააჭრელეს.

როგორც ამბობენ, ოცნების ახალი საპარლამენტო დეპუტაცია ხელისუფლებაში რეკომენდაციით აპირებს შესვლას დავით ბაქრაძის, გიგა ბოკერიას, ნიკანორ მელიას, ირმა ნადირაშვილის, ელენე ხოშტარიას, ოთო კახაძის, ნუგზარ წიკლაურის და სხვათათვის ყბების მოსალესი საცხით დასაჯილდოებლად, რომელთა ღვარძლითა და ბოროტებით სავსე საარჩევნო პროპაგანდამაც წვლილი შეიტანა „ოცნების“ დამაჯერებელ გამარჯვებაში: 48 პროცენტით 27-ის წინააღმდეგ.

თავის მომჭრელად, სამარცხვინოდ, პირველ ტურშივე წააგეს საარჩევნო ოლქებში შერკინება ოცნების წარგზავნილებთან ისეთმა „მამალმა“ ნაცებმა, როგორებიც არიან პეტრე ცისკარიშვილი (ვაკის მე-3 საარჩევნო ოლქი), ლევან ბეჟუაშვილი (სიღნაღი-დედოფლისწყაროს 25-ე), ჯარჯი დოლიძე (საბურთალოს მე-4), გიორგი როინიშვილი (საბურთალოს მე-5), ირაკლი ჩოლოყაშვილი (ჩუღურეთის მე-14), დავით მჟავანაძე (ოზურგეთის 59-ე)... მათ მიერ მოპოვებული ხმების პროცენტი 17-ს, 18-ს, 19-ს, ჰა და ჰა 23-ს არ აცილებია.

ხვალ მეორე ტურია – სამაჟორიტარო. რისი იმედი აქვთ თვალებამოციებულ ელენე ხოშტარიას, რომელმაც პირველ ტურში ხმების მხოლოდ 22,25 პროცენტი შეაკოწიწა, გამოპენტერებულ-გამონაციონალებულ სევდია უგრეხელიძეს (17,2), ყველაზე და ყველაფერზე გაბოროტებულ იქედნეს ირაკლი აბესაძეს (28,92), ენა მხარზეგადაკიდებულ ფლიდ გიორგი ონიანს (24,51), შუბლზე ძარღვგაწყვეტილ სერგო რატიანს (30,43), სვანეთის რისხვას მანქურთ გიორგი ბარამიძეს (25,61), თვალებზე ფალოსაფარებულ ზურაბ ჭიაბერაშვილს (24,88), თავცარიელ და კუნთებმოთამაშე დავით კირკიტაძეს (34,02), ჩხუბისთავსა და მოძალადე აკაკი ბობოხიძეს (27,4), „სახალადეცე“ ღორისთავიან ნუგზარ წიკლაურს (27,41), ტლიკინა არარაობას ოთო კახიძეს (30,66) და სხვებს?

შეგახსენებთ, რომ 50-ვე საარჩევნო ოლქში, სადაც მაჟორიტართა არჩევნების II ტური იმართება, ერთმანეთს მხოლოდ „ქართული ოცნების“ და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლები ერკინებიან. გამონაკლისია მხოლოდ მთაწმინდის №1 საარჩევნო ოლქი, სადაც ერთმანეთს უპირისპირდებიან დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი და ნაციონალი ნიკა რურუა, ხაშურის 43-ე საარჩევნო ოლქი, სადაც პარტია „თოფაძე-მრეწველები, ჩვენი სამშობლოს“ კანდიდატი სიმონ ნოზაძე და ოცნებელი ვალერი გელაშვილი დგანან ერთმანეთის პირისპირ, ჭიათურის 56-ე ოლქი – ოცნებელი სულხან მახათაძე და თავისუფალი დემოკრატების წარმომადგენელი თეიმურაზ გაფრინდაშვილი და ლანჩხუთი-ჩოხატაურის მე-60 ოლქი – ოცნებელი ნინო წილოსანი და დამოუკიდებელი დეპუტატი აკაკი ჩხაიძე.

ცნობილია, რომ ზუგდიდის 66-ე და გორის 41-ე ოლქებში არჩევნების მეორე ტურში მონაწილეობაზე უარი თქვეს ნაციონალმა სანდრა ელისაბედ რულოვსმა და თავისუფალმა დემოკრატმა ირაკლი ალასანიამ.

ნიშანდობლივია: ყველა ოლქში, სადაც ერთმანეთს ოცნება და ნაცები უპირისპირდებიან, ოცნებელებმა I ტური დიდი სხვაობით მოიგეს. ასე რომ, სამომავლო პროგნოზი ერთობ არასახარბიელოა. ამას ძალიან კარგად ხედავენ ნაციონალები, ამიტომ იხვეწებიან ყელგამოწვდილები, ხმა ჩვენს კანდიდატებს მიეცითო. ის კი არა, მთელი მოძრაობა წამოიწყეს: არ დავანებოთ ხელისუფლებას პარლამენტში კონსტიტუციური უმრავლესობით მოსვლა, თორემ ქვეყანა დაიღუპებაო. რაც შეიძლება მეტი მანდატი უნდა მივიღოთ, რათა მათ წინ აღვუდგეთ და სიცოცხლე გავუმწაროთო.

მადლობა ღმერთს, ჩვენი ხალხი ბრბო აღარ არის. იგი უკვე კარგად არჩევს ერთმანეთისგან შავსა და თეთრს. ეს პირველმა ტურმაც კარგად გამოაჩინა. ბრმა უნდა იყო, ვერ დაინახო, რომ ნაცების „არგუმენტები“ წმინდა წყლის სიცრუეა, და მხოლოდ საზოგადოების გაბრიყვებას, უფრო სწორად, მოღორებას ისახავს მიზნად.

ნუ მოვატყუებინებთ თავს სიცრუეში, სიფლიდეში, ქვეყნის აოხრებასა და განიავებაში ჭიპმოჭრილ ნაცებს!

ნუ დავუკარგავთ ქვეყანას მომავალს, რომელიც ამდენი კირთების, ოფლისა და სისხლის ფასად მოგვიტანა სწორედ „ქართულმა ოცნებამ“.

სანდრო ალექსიძე

გიორგი მღებრიშვილი: სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არჩევნები მშვიდად ჩაივლის!

შს მინისტრის თქმით, არჩევნების მეორე ტურის წინ შს სამინისტრო მობილიზებულია და არ დაუშვებს არანაირ გართულებას. **„საერთაშორისო ექსპერტებმაც აღიარეს, რომ არჩევნები ჩატარდა მშვიდ ვითარებაში, თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს. მეორე ტურზეც სრული პასუხისმგებლობით შემიძლია გითხრათ, რომ არჩევნები ჩატარდება მშვიდ ვითარებაში, ჩვენ მოქალაქეებს მიეცემათ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვის საშუალება. შსს მობილიზებულია და არ დაუშვებს არანაირ გართულებებს“,** — განაცხადა გიორგი მღებრიშვილმა.

* * *

შს მინისტრმა მარნეულსა და ჯიხაშკარში მომხდარი ინციდენტების გამოძიებაზე ისაუბრა და განაცხადა, რომ ყველა, ვინც ჩაიდენს დანაშაულს, დაისჯება და პოლიტიკურ სიმპათიას მნიშვნელობა არა აქვს:

„მარნეულის ფაქტთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ ეს ადამიანები არიან ჩვეულებრივი კრიმინალები. მათ არა თუ წინააღმდეგობა გაუწიეს, ხელიც კი აღმართეს პოლიციელებზე. რა პოლიტიკურ მოტივებზე შეიძლება იყოს საუბარი. რაც შეეხება ჯიხაშკარის მოვლენებს, დაკავებულია ორი პირი. ჩვენ არ ვანსხვავებთ პოლიტიკური სიმპათიით ადამიანებს, ყველა ვინც ჩაიდენს დანაშაულს აუცილებლად მიეზღვება“!

რაც შეეხება გუშინწინ ახალციხეში მომხდარ ფაქტს, მღებრიშვილის თქმით, ამ შემთხვევასთან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება.

ზურაბ პატარაძე სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან მივიდა და ხალხი დაამშვიდა

სარფის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან აჭარის მთავრობის თავმჯდომარე და საქართველოში თურქეთის კონსული იმყოფებოდნენ. როგორც ზურაბ პატარაძემ ჟურნალისტებთან კომენტარის დროს განაცხადა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები ქართული პასპორტის მქონე იმ პირების გადმოყვანაზე, რომელთაც პასპორტზე ვადაგადაცილება არ აღენიშნებათ. მისივე თქმით, მსგავსი ტექნიკური პრობლემა მხოლოდ სარფის საზღვართან არ არის და ანალოგიური პრობლემები სხვა სასაზღვრო პუნქტებთანაც აღირიცხება.

„ეს პრობლემა არ არის მხოლოდ სარფის საბაჟო პუნქტზე, ანალოგიური პრობლემები არის ყველა საზღვარზე, მათ შორის, საერთაშორისო აეროპორტებში, ეს არის სისტემური პრობლემა მთელი თურქეთის ტერიტორიაზე და ვფიქრობ, ძალიან მალე ეს პრობლემა გადაწყდება, როგორც სარფის საბაჟოზე, ისე სხვა მიმართულებით“.

ქართული დემოკრატია ჯანსაღი და დინამიკურია

საქართველოს არჩევნები ამერიკელი დამკვირვებლის თვალით

აშშ-ის საარჩევნო კამპანიის ყოვლისმომცველმა გაშუქებამ პოლიტიკის სფეროში ყველაზე მრავლისმნახველ ადამიანსაც კი შეიძლება მოაბეზროს თავი. ამდენად, სიხარულით გამოვიყენე შესაძლებლობა, მიმდინარე თვის დასაწყისში — საერთაშორისო დამკვირვებლის როლში — თვალყური მედევნებინა სხვა, ჩვენსაზე ბევრად უფრო ახალგაზრდა დემოკრატიაში გამართული არჩევნებისთვის.

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) დელეგაციის შემადგენლობაში საქართველოს მესამედ ვესტუმრე. ჩემთან ერთად მუშაობდნენ პარლამენტარები და წამყვანი პოლიტიკური მოღვაწეები დიდი ბრიტანეთიდან, პოლონეთიდან, უკრაინიდან, შვედეთიდან და გერმანიიდან. მეთვალყურედ მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში ვყოფილვარ და მუდამ მანცვიფრებდა გარემოება, რომ დემოკრატიის ჭეშმარიტ გამოვლინებებს ვხვდებით არა იმდენად დიდ მიტინგებსა თუ დემონსტრაციებზე, რამდენადაც პროცედურებისა და მიუკერძოებლობისადმი არცთუ იოლად მისაღწევი ერთგულების გამოხატვისას. არადა, სწორედ ეს ერთგულებაა ლეგიტიმური არჩევნების ჩატარების აუცილებელი წინაპირობა.

თბილისში ჩემს ჩასვლამდე ერთი დღით ადრე ვიღაცამ ააფეთქა პარლამენტის ოპოზიციონერი წევრის ავტომანქანა. ბევრი ელოდა, რომ ამ ინციდენტს ძალადობის ესკალაცია მოჰყვებოდა და, რაც უფრო ახლოვდებოდა არჩევნების დღე, დაძაბულობა მართლაც იზრდებოდა. მცირერიცხოვანი ჯგუფის შემადგენლობაში ორი დღე გავატარე შუა და სამხრეთ საქართველოს რამდენიმე რეგიონში, სადაც შევხვდი პოლიტიკური სპექტრის სხვადასხვა წარმომადგენელს. თვით არჩევნების დღის უდიდესი ნაწილი თვალწარმტაცი ბორჯომის საარჩევნო უბნების მეთვალყურეობას დავუთმე. ნანახმა და მოსმენილმა დამარწმუნა, რომ ქართული დემოკრატია ჯანსაღი და დინამიკურია, თუმცა დავინახე ზოგიერთი ტენდენციაც, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს.

თუ არ ჩავთვლით რამდენიმე გამონაკლისს — კერძოდ, მარნეულში მომხდარ შეხლა-შემოხლასა და რამდენიმე სხვა მცირე ინციდენტს — არ გამართლდა მათი შიში, ვინც ზემოხსენებული აფეთქების შემდეგ ვითარების კიდევ უფრო დაძაბვას ელოდა. მაგრამ გადამწყვეტი ის იქნება, შეძლებს თუ არა მთავრობა, ბოლომდე და გამჭვირვალედ გამოიძიოს ის ინციდენტები, დაადგინოს, მართლაც ხდებოდა თუ არა წინასაარჩევნო პერიოდში ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენება.

პოლონეთში აშშ-ის ელჩად მუშაობისას მოწმე გავხდი იმისა, როგორ დასრულდა არჩევნებში კომუნისტების ბატონობა და როგორ იქცა არჩევნები თავისუფალ პროცესად, სადაც შესაძლებელი გახდა აზრისა და პოზიციის გამოხატვა სახელმწიფოს ჩაურევლად. საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების 25-ე წლისთავზე და „ვარდების რევოლუციიდან“ 13 წლის შემდეგ საქართველო განაგრძობს ძიებას მსოფლიოსა და რეგიონში თავისი განსაკუთრებული ადგილისა, რაც მჭიდროდ უკავშირდება მის არჩევანს, დემოკრატიის გზით იაროს. 30 ოქტომბერს, 50 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში, ქართველი ხალხი ისევ უყრის კენჭს თავის კანდიდატებს. იმედი მაქვს, პოლიტიკური პარტიები ყოველ ღონეს იხმარენ უფრო კონსტრუქციული გარემოს შესაქმნელად, რაც ქართველ ამომრჩეველს მისცემს სტიმულს, გამოიყენოს თავისი დემოკრატიული მანდატი.

ვიქტორ ეში,
აშშ-ის ყოფილი ელჩი პოლონეთში

◎ თავისუფალი ეკონომიკური ზონა

კურსი ძველი, პერსპექტივა — ბუნდოვანი

ზონებს, სადაც კონკრეტული ქვეყნის დანარჩენი ეკონომიკური სივრცისგან განსხვავებით, დაბეგვრის განსაკუთრებული, შეღავათიანი რეჟიმი მოქმედებს, „თავისუფალი“ ეწოდება. ასეთი საგანგებო ლოკაციების არსებობამ დიდი ხანია თავისი სიცოცხლისუნარიანობა დაამტკიცა და დიდი სარგებელიც მოაქვს როგორც ტერიტორიის მეპატრონე ქვეყნისთვის (ვთქვათ, თუნდაც ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების მხრივ), ასევე იქ მოქმედი მეწარმე სუბიექტებისთვის. თავისუფალი ეკონომიკური ზონის (თეზ) სივრცეში დაბეგვრის შეღავათიანი რეჟიმის გარდა იქ კიდევ არაერთი სხვა ეკონომიკურად მიმზიდველი ფაქტორი მოქმედებს, თუმცა კი გადასახადების დაბალი თამასა მეწარმე სუბიექტებისთვის მაინც ყველაზე მეტად მიმზიდველი ფაქტორია.

ასეთი ზონების შესაქმნელად სახელმწიფოები, მით უმეტეს განვითარების გზაზე მდგარნი, კერძოდ, საქართველო, უცხოური კაპიტალის მოზიდვას ცდილობს. ამიტომაც, სულაც არ არის გასაკვირი, რომ როცა 2008 წელს ფოთში თავისუფალი ეკონომიკური ზონა დაფუძნდა, რომლის მოღვაწეობის ვადა 99 წლით განისაზღვრა, მასში ინვესტიციის განხორციელების სურვილი არაბულმა კომპანია „რაკიამ“ გამოთქვა და სახელმწიფოსგან აქციების საკონტროლო პაკეტიც შეიძინა. მაგრამ, ისევე, როგორც ცხოვრებაში სხვა შემთხვევებშიც ხშირად ხდება, როცა კეთილი ზრახვები და რეალური სინამდვილე ერთმანეთს დიდად სცილდება, ასე მოხდა ამ შემთხვევაშიც: ახლახან ცნობილი გახდა, რომ „რაკიამ“ საქართველოს სახელმწიფოს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახით, კუთვნილი აქციების 85-პროცენტიანი საკონტროლო პაკეტი უკან დაუბრუნა, თუმცა კი პროექტიდან ბოლომდე არ გასულა და აქციების 15 პროცენტის მფლობელი დარჩა. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ ამ წილის მფლობელი არაბეთის გაერთიანებული საამიროების კომპანიის „რას ალ ჰაიმასის“ შვილეული კომპანია შპს „რას ალ ჰაიმას ინვესთმენტ აუთორიტი ჯორჯია“ გახლავთ.

ამის მიზეზი, ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, ისაა, რომ ამ ხნის მანძილზე კომპანიამ ვერ შეძლო თეზ-ის განვითარებასთან დაკავშირებული ვალდებულებების სრულად შესრულება, რის გამო, სავსებით სამართლიანად. პირგასამტეხლო დაეკისრა. სწორედ ამ თანხის გადახდის სანაცვლოდ „რაკიამ“ სახელმწიფოს თეზ-ის აქციების 85 პროცენტი გადასცა.

ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ კონკრეტული თანხის ოდენობა ცნობილი არ არის, რადგან ოფიციალური ხელშეკრულების პირობების თანახმად, ფინანსებთან დაკავშირებული ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი კონფიდენციალურია და მისი გასაჯაროება მხოლოდ თავად ინვესტორს შეუძლია.

თავის დროზე ხელისუფლება ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონის მოღვაწეობაზე დიდ იმედებს ამყარებდა და ეს ასეა ამჟამადაც, ვინაიდან, როგორც ცნობილი ხდება, წარმოქმნილ დაბრკოლებათა მიუხედავად, მოღვაწეობას განაგრძობს: ფოთის თეზ-ში 600 მილიონი დოლარის კაპიტალდაბანდებასთან დაკავშირებით პოტენციურ ინვესტორთან მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

„რაკიასთან“ ურთიერთობებთან მიმართებაში ასევე უნდა ითქვას, რომ საქმე მარტო ფოთის თეზ-ის აქციათა მნიშვენლოვანი ნაწილის დაბრუნებით არ შემოფარგლულა. ცოტა ხნის წინათ, საქართველოს მთავრობის განკარგულებით, კომპანიასთან ფოთის აეროპორტის აქციების ძირითადი წილი (98,26 პროცენტის) მიყიდვის ხელშეკრულებაც შეწყდა, რის ხარჯზე ეს მნიშვნელოვანი ობიექტი უნდა განვითარებულიყო.

ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის **დიმიტრი ქუმსიშვილის** განცხადებით, სახელმწიფოსთვის დაბრუნებული აქტივების ღირებულება 100-დან 150 მილიონ დოლარამდეა, მათ შორის ესაა 300 ჰექტარზე მეტი თეზ-ის და 150 ჰექტარი აეროპორტის მიწის ნაკვეთების ფართობები.

— ჩვენი მიზანია ფოთის თავისუფალი ეკონომიკური ზონაის და იქაური აეროპორტის საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების ინსტრუმენტად გამოყენება, — დასძინა ვიცე-პრემიერმა.

ოთარ ტურაბელიძე

„გაევროპელებული“ კარიერა

მიხეილ სააკაშვილის ნაციონალური ჯოგის უკლებლივ ყველა „სუსტი“ სქესის წარმომადგენლის დახასიათება ერთნაირად და შეუმცდარად შეიძლება: წარმოუდგენლად ბოროტი, კაცთმოძულე, ღვარძლიანი და შხამ-ბალღამის მთხეველი, დაუნდობელი და გამწირველი, ავისმქმნელი, უსამართლო, გამყიდველი და მოღალატე, უვიცი, ჭორიკანა და უსაქმური, შიზოფრენი და ამორალი ბელადის მაღმერთებელი, მისგან ჩადენილი ყველანაირი დანაშაულის მომწონებელ-გამმართლებელი...

ვფიქრობთ, სწორად წარმოვაჩინეთ საქართველოსთვის განუკურნებელ სიმსივნედ მოვლენილი სადისტურ-ჯალათური ნაციონალური მოძრაობისა და მათი სნეული უსტაბაშის „სეფექალების“ შეფასება და დახასიათება. დიახ, ყველა ისინი ერთმანეთს უსწრებენ და ეცილებიან ჩვენგან ნათქვამის დადასტურება-დამოწმებაში.

ყველა აქ ჩამოთვლილი ნაციონალური „სიკეთე“, უფალმა ერთობ უხვად და უშურველად დააბერტყა სააკაშვილის ერთ-ერთ „წარმატებულ ფავორიტსა და სეფექალას“ თავგანწირულ, მგზნებარე „ნაციონალს“ სალომე სამადაშვილს. უსიამოდ თვალებმოგორავე ეს დიაცი ულიმლამო, ნაციონალურ სტანდარტს მორგებული რიგითი კადრია, გულისამრევად და სამარცხვინოდ რომ ეპირფერება ჭკუამინჯღრეულ საფიცარ „გენსეკს“.

მიშიკას პირისფარეშობას ვუწუნებთ პროვინციულად გაყვინიზებულ სალომკას, ყველაფერი ამით სააკაშვილის ჯოჯოხეთური რეჟიმის დროს კარგა გემოზე გაქაჩულმა, გვარიანად რომ მოიწყო „სახელმწიფოებრივ“-სამსახურებრივი კარიერა.

საერთოდ, უნიჭოები და უცოდინრები, ზედმეტად „თამამები“ და თავხედები, ყველაზე და ყველაფერზე ურცხვად გადამლაჯებლები ამ თვისებების არმქონეებს რომ ყოველთვის ჩაგრავენ და ჯაბნიან, ჩვეულებრივი ცხოვრებისეული ჭეშმარიტებაა. მიშიკას „კამანდა“ კი სწორედ ასეთი ყველაფრის მკადრებელი ნაცკაცუნ-ნაცქალუკებითაა გამოტენილი. ჰოდა, ამიტომაც იყო, რომ ამა თუ იმ მნიშვნელოვანსა და საპასუხისმგებლო თანამდებობაზე დასანიშნი კადრის მოძებნა-შერჩევა არასდროს იყო ძნელი. გაუწონასწორებელი და გონებაამღვრეული ბელადი არავისგან არანაირ რჩევა-შეთავაზებას არ იკარებდა და ყველაფერს ერთპიროვნულად წყვეტდა.

საფიქრებელია, რომ სწორედ სააკაშვილის იმ შლეგური ჯიუტობის წყალობით წამოტივტივდა მანამდე უცნობი და არავისგან არაფრით გამორჩეული სალომე სამადაშვილი. ნაცების იმპულსურმა უსტაბაშმა, თვალში მოსულ-მოწონებულ სეფექალ საღლომეს უაღრესად მძიმე ტვირთი აჰკიდა და ევროკავშირში წარმოუდგენლად საპასუხისმგებლო მისიის — საქართველოს ელჩის მოვალეობის შესასრულებლად გაისტუმრა.

მაგრამ, რომელი „საპასუხისმგებლო და სახელმწიფოებრივი“ საქმეები უნდა ეკეთებინა ამ საქმის ანბანის უცოდინარ სალომკას? რა ცოდნა-განათლებისა და უნარის პატრონი იყო ჩვენი სამშობლოს ევროპაში წარმოსაჩენად და იქაურებისგან, რაიმე ანგარიშგასაწევის მისაღებ-მოსაპოვებლად? იქ მას არავინ არაფრად ჩათვლიდა და არავინ მოინდომებდა მისი აბდაუბდის მოსმენას.

თუმცა, მიხეილ სააკაშვილს ამისი ქმნა არც დაუვალებია ელჩუკა არსებისთვის. მარტივ სამართავ-სათამაშოდ შერჩეული „ელჩი“ თუ „დესპანი“, მხოლოდ ერთი საქმის საკეთებლად უნდა მომართულიყო და მოუღალავად გარჯულ-დახარჯულიყო: მუდამ საქართველოსა და ქართველების აუგის სათქმელად ყოფილიყო მომართული. უარყოფითად დაეხასიათებინა და შეეფასებინა, გაუნელებლად ეძაგებინა, დღენიადაგ ექადაგა კომუნისტური რეჟიმის უკუნეთში ჩარჩენილი ქართველების ანტიდემოკრატიულობაზე...

აი, ეს ყველაფერი ძირისძირამდე უნდა შთაეგონებინა ევროპელებისთვის. საფუძვლიანად დაეჯერებინა ყოველივე პროგრესულ-თანამედროულის არმსურველ-ვერგამგები ქართველებისგან შორს დადგომასა და თავის შეკავებაში, მათთან არანაირი კავშირურთიერთობის დამყარებაში.

დარწმუნებული ვარ, ბელადის ამ ინსტრუქტაჟის ყოველი მოთხოვნა საფუძვლიანად და ძირფესვიანად შეისრუტა ავის საკეთებლად შემართულმა შავგულიანმა „დესპანმა“ და მთლიანად მობილიზებულმა დაიწყო ქმნა ბოროტებისა, შავი და საწყევარ-საგინებელი საქმისა. ღრმად დაჯერებული ვიტყვი, რომ ქართველთმოძულე სააკაშვილის დავალების — საქართველოს ძირგამომთხრელი და დამანგრეველი საქმის კეთებაში, ახალგაზრდა „დიპლომატს“ უანგაროდ და ოპერატიულად დაეხმარებოდნენ, ევროკავშირში ევროპის სახალხო პარტიის მაშინდელი ლიდერი, აწგარდაცვლილი მარტენსი და მიშიკას მიერ ქართველებისგან წაგლეჯილი ფულით ნაყიდი ამ პარტიის რამდენიმე წევრი.

ჩანს, დანაშაულებრივ საქმეთა კეთებაში ჩაბმული და ეშხში შესული, საკმაოდ მალე „დასპეცდა“ და გაიწაფა ნაცქალუკა სალომკა, ყველანაირად ცდილობდა დავალების ხარისხიანად და დროულად შესრულებას, ბელადის კიდევ უფრო დიდი ნდობის, კეთილგანწყობისა და კმაყოფილების მოსაპოვებლად. ამიტომაც შემორჩა კარგახნით ნაცქალუკა, მისთვის მეტად შეუფერებელ თანამდებობას. ამიტომაც იყო სიბრალულის ღიმილის მომგვრელი მისი იაფფასიან-პროვინციულად გაგორობა-გაყოყოჩება, ვერავისგან მის „სიმაღლემდე“ ვერ მიღწევაში თავდაჯერება. ამისი საბაბი კი ნამდვილად ჰქონდა საბრალო „დესპანს“. საქართველოზე შავ ჭირად მოდებული ნაციონალები, პათოლოგ და მანიაკ წინამძღოლთან ერთად ხომ ღრმად დარწმუნებულები იყვნენ საკუთარ უძლეველობასა და ხელისუფლებაში უვადოდ ყოფნის აუცილებლობაში.

თუმცა კი, ფუჭი და ამაო გამოდგა ჯალათი ნაციონალებისგან ამისი ძახილი და მტკიცება, რადგან დადგა მათი ამქვეყნად ბოგინის სამუდამოდ დასრულებისა და დასამარების დრო!

2012 წელი ნაციონალური ციხესიმაგრის ძალუმად შემარყეველი გახდა და მოახლოებული მარცხის წინაშე დააყენა მოძალადე სააკაშვილი და თავისი ხროვის წევრები. ევროპელი და ამერიკელი მფარველების იმედად შთენილმა მიშიკამ გადამწყვეტი ბრძოლისთვის სამზადისის დაწყება უბრძანა ქვეშევრდომებს. ცხადია, დავალების კუთვნილი წილი ერგო ევროპაში „გაგულავებულ“ სალომესაც. მაშინ იყო, რომ გამორჩეულად „გამოიჩინა თავი“ უკვე „გამოცდილ-სტაჟიანმა“ ელჩმა. ნაციონალურად შემართულმა, დაუზარებლად შემოირბინა ქართველებისგან თავშეფარებული ევროპის ქვეყნები და ბამდე უნდა შთაეგონებინა ევროპელებისთვის. საფუძვლიანად დაეჯერებინა ყოველივე პროგრესულ-თანამედროულის არმსურველ-ვერგამგები ქართველებისგან შორს დადგომასა და თავის შეკავებაში, მათთან არანაირი კავშირურთიერთობის დამყარებაში.

და, დაუდგა იგი სანატრელი დღე „გაევროპელებულ“ კაროჟნა სალომე სამადაშვილს. სამაგიეროს მიზღვით გონწართმეულმა, ყოველგვარი დიპლომატიური წეს-კანონისა და ეტიკეტის დამრღვევ-უარმყოფელმა, არაფრით არ ისურვა საკუთარი მოვალეობის შესრულება და ევროპაში პირველი ოფიციალური ვიზიტით ბრიუსელში ჩასულ საქართველოს ახალ პრემიერ-მინისტრს ბიძინა ივანიშვილს არ დახვდა...

თურმე გაალმასებულ-დამუქრებული მოძღვრავდა მათ, რომ მხოლოდ მისი მფარველისა და ნაციონალური ბანდის წევრებისთვის მიეცათ ხმა.

ევროპაში მყოფმა ქართველებმა, ერთი-ორი იქაური სულგაყიდულის გარდა, არ დაუჯერეს, ყური არ უგდეს მოღალატური დავალების შემსრულებელ ნაცქალუკას, ნაციონალური რეჟიმისგან გამათავისუფლებელთ არგუნეს უპირატესობა. გასაგებია, რომ ს

„ამირანს“ სვანეთი ელოდება!



ხმელი სახით, თეთრი წვერით, დინჯი, როგორც მთის ხალხს შეეფერება, დახუნძლული წლებით, სიხარულით, მიღწევებით, ცხოვრებისგან მიღებული ტანჯვით და ცრემლით, მაგრამ გაუტეხელი ბუნებითა და ხასიათით — ივჯდა მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სააქტო დარბაზში, ივჯდა მორიდებით სანამ არ უხმეს სცენაზე. იქნებ სცენიდან სჯობდა, თვალი შეევლო იმ ადამიანებისთვის, ვინც მის ნიჭსა და ტალანტს აფასებს, ვისთვისაც ის ახლობელია არა მარტო გენეტიკურად, მეგობრობით, სახელით, არამედ თავისი შემოქმედებითაც.





ივჯდა როგორც მახვში, ფიქრებში წასული, მის უკან უზარმაზარ ეკრანზე მორიგეობით ჩნდებოდა მისი ნამუშევრების ფოტორეპროდუქციები, ნამუშევრებისა, რომლებითაც იგი მსოფლიოს მრავალმა ქვეყანამ აღიარა.

საქართველოს დამსახურებული მხატვარი, საერთაშორისო საგამოფენო ხელოვნების დიზაინერი — ოქროს მედალოსანი, ღირსების ორდენის კავალერი, ეროვნული და ტექნოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიების ნამდვილი წევრი, მოქანდაკე, მხატვარი, მწერალი, პოეტი, დიდი ოჯახის მამა **ვახტანგ ონიანი**.

სცენა იმ ადამიანებს დაეკავებინათ, ვისაც პირუთვნელად შეეძლოთ, ესაუბრათ მის შემოქმედებაზე, პირდაპირ, ყველასთვის გასაგები ენითა და ყოველგვარი გადამეტების გარეშე. ბატონი **თემო გოცაძე**, შესანიშნავი მხატვარი, კაცი, რომელსაც მის უფროს კოლეგაზე შეუძლია მხოლოდ სიყვარულით ისაუბროს, რომ ბატონი ვახტანგი 50-იანელთა თვალსაჩინო წარმომადგენელია, ხელოვანი, რომელმაც თავისი სტილი დაამკვიდრა, პიროვნება, რომელმაც შეძლო, თითოროლა მის თანამოძმესთან ერთად დაერღვია იმ დროისთვის გაბატონებული სტილი და ახალი სუნთქვა შეეტანა ქანდაკებაში. ამ სითამამესა და „ურჩობას“ ხელი არ შეუშლია მისთვის, გამხდარიყო საბჭოთა კავშირის მხატვართა კავშირის წევრი, ემოგზაურა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, ყველაზე წარმატებულად წარემართა და გაეფორმებინა სხვადასხვა ქვეყნებში საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობები. ვახტანგ ონიანის შემოქმედების შესახებ უფრო ვრცლად ისაუბრებს ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ქალბატონი **ქეთი ახობაძე**. სასაუბროც აქვს — ვახტანგ ონიანი, ათასხუთასზე მეტი ნამუშევრის ავტორი — მის საჭრეთელს ერთნაირად ემონება მარმარილო, ბაზალტი, ტუფი, ბრინჯაო, მისი ფუნჯი და ყალამი ქმნიან შედევრებს ტილოზე, ქაღალდზე, სანთელზე; ძვალი და ხე საოცარ ფიგურებს იღებს ხელოვანის ხელში.

სასაუბრო მართლაც ბევრია. ამას ერთი მოკრძალებული საღამო ვერ დაიტევს. ამაზე ვრცელი ნაშრომები უნდა შეიქმნას მისი ხელოვნების შემფასებელთა მხრიდან.

ბატონი **გრიშა ონიანი** — როგორც ყოველთვის, ახლაც ემოციურია. შესანიშნავი პარალელის გავლება ხელოვანისა და შემოქმედის ბედზე საქართველოში, დღეს და საუკუნის წინათ. გენიოსი ვაჟა-ფშაველა — გაზეთ „ივერიის“ მესვეურთსულ მცირედ ჰონორარსა სთხოვს, უკიდურეს გაჭირვებაში ჩავარდნილი მრავალსულიანი ოჯახის სარჩენად, გინდაც ბოლო დროს ბებერი მგელივით მოვარდნილი სნეულებისაგან თავის დასაცავად. მაგრამ ამაოდ. **„იქნებ მსგავსება მაინც ვნახოთ ხელოვანთა დღევანდელ ყოფასთან, როცა ერთეულების იმედითღა არიან დამსახურებული შემოქმედნი, რომლებმაც ჩვენს ქვეყანას სახელი გაუთქვესო“,** — დასძენს ბოლოს.



ერეკლე საღლიანი მჭექარე, გულიდან ამოსული სიტყვებით ესალმება უფროს მეგობარს, განსაკუთრებული უემოციურობით დიდი მოქანდაკის მიერ სვანური ეპოსის ლიტერატურულ დამუშავება-დასურათებასა და გამოცემაზე საუბრობს. ბატონი ვახტანგი, ხომ ავტორია მრავალი წიგნისა, რომელიც ლიტერატურულად დაამუშავა უძველესი სვანური ეპოსის მიხედვით, უხსოვარი დროის მარგალიტები არ დაუკარგა შთამომავლობას, რომელი ერთი გავიხსენოთ — **„ბეთქილი“, „გივერგილი“, „ამირანი“, „ლადლერ“, „დალის საუფლო“, „ლოგუშედ“** თუ ბოლო მისი ნაშრომი **„ოქროს ხანა“** — ქართველთა ჰეროიკული ისტორია ლექსად შეთხზული, ჩვენი ქვეყნის ოქროს ხანა.

ზემოთ აღვნიშნე, ფერადი ფოტომატიანე ცვლის-მეთქი ერთმანეთს უზარმაზარ ეკრანზე, თვალწინ მიქრიან **„ქალღმერთი დალი“, „ცოდნის სვეტი“, „ლილეობა“, „ადგილის დედა“, „მიხეილ ხერგიანი“, „მოლოდინი“, „ხალდეველები“, „ვაჟა ფშაველა“,** უამრავი ქანდაკება საქართველოში, ყოფილ საბჭოეთში, მოსკოვისა და საქართველოს კულტურის სამინისტროს ფონდებში დაცული დაზგური ნამუშევრების ფოტორეპროდუქციები. თავადაც თვალს აპარებს ათეული წლების წინ შექმნილი ნამუშევრებისკენ. მხოლოდ ერთის სევდა გამოჰყოლია, ეს მისი „ამირანია“, ღმერთებთან მებრძოლი, მითიური, ზეციური ცეცხლის, სინათლის, ცოდნის, გინდაც იმედის მომტანი ამირანი, რომელიც ხელოვანთაგან მხოლოდ ბატონმა ვახტანგმა შექმნა თავისუფალი, ჯაჭვებაწყვეტილი ორლესური ქართული ხანჯლითა და ჩირაღდნით ხელში, რომელიც მყარად დგას მიწაზე ზეხელებაწვდილი, თითქოსდა ოლიმპოს ღმერთებს ნიშნისმოგებით ასცქერის. მხოლოდ ვახტანგ ონიანის ამირანია ყველა დიდი ხელოვანის პრომეთე — ამირანისაგან განსხვავებული და რაც ხელოვნების ქურუმებმა, თავად ღმერთებმაც აპატიეს დიდ მხატვარს, ის არ აპატიეს პატარა კაცუნებმა, ერის გამყიდველმა მანქურთებმა, კოსმოპოლიტებმა და ძირს დასცეს სიღნაღის მისადგომებთან ამაყად მდგარი ღმერთებთან მებრძოლი ქართველი გმირი.

მხოლოდ მისი დარდი აქვს საჭრეთლის ოსტატს, აცრემლებული თვალებით გაჰყურებს ცერად მის პირმშოს, რომელიც უკვე მერამედენედ გადმოგვცქერის ეკრანიდან.

საოცარი აზრი მომდის:

უხსოვარი დროიდან, იგრძნობდნენ რა მომხვდურთა სიძლიერესა და დაუნდობლობას, ჩვენი წინაპრები ქართულ საგანძურს, ყველაზე წმინდას მათთვის რაც კი ებადათ, ხვამლის მთის საცავებსა და სვანეთის მიუვალ მთებში მიყუჟულ კოშკებში მოუნახავდნენ ადგილს. იქ, სადაც ფეხი ვერ დაედგათ მომხვდურთ. ჩვენ ვერ განვჭვრიტეთ და ვერ ვიგუმანეთ ის საშინელი ძალა მანქურთთა, რომელნიც ჩვენი ქვეყნის სათავეში მოვიდნენ „დემოკრატიის შუქურით“ და სიყვარულისა და ერთგულების ჩირაღდანი ჩაგვიქრეს. მაშინ უნდა გადაგვემალა სვანეთში „ამირანიცა“ და დიდი მერაბ ბერძენიშვილის „დავითი“ თუ „დიდების მემორიალი“.

ფიქრებიდან მორიგი გამომსვლელის ხმას გამოვყევარ — ქალბატონი ნაირა ხაბულიანი. **„ვახტანგ ონიანი ბიძად მეკუთვნის, ერთი კუთხის შვილები ვართ, ქვემო სვანეთიდან. სასიხარულო ამბავი მინდა გამცნოთ აქ შეკრებილთო, — სვანური პირდაპირობითა და ომახიანობით გვითხრა — საზღვარგარეთ მცხოვრებმა სვანებმა, აქაურმა, ჩემი კუთხის ხალხმა და ჩვენმა საახლობლომ მოვილაპარაკეთ და გადავწყვიტეთ „ამირანი“ ქვემო სვანეთის, ბატონი ვახტანგის მშობლიური სოფლის სიახლოვეს, ყველაზე მაღალ წერტილში ავღმართოთ, ჩვენვე ვუპატრონოთო“.**

თითქოს ცა გაიხსნა. აქამდე ჩაფიქრებული, ქებისგან და თბილი სიტყვებისაგან მორიდებულად მჯდომ ხელოვანს თვალში ცრემლი აუკიაფდა.

„ჩვენ რით ჩამოგრჩებით, ჩვენს ქვემოურ ძმებ სვანებს, ამირანი უშბის ძირში უნდა იდგეს, იქ სადაც ლეგენდის მიხედვით იყო მიჯაჭვული, ჩვენ ავიტანთ ჩვენი სახსრებით და სწორედ იქ მივუჩენთ ადგილსო“ — ბატონმა ივერი ჭელიძემ ბრძანა ეს.

„ამის გულისთვის ნუ დავხოცავთ სვანები ერთმანეთს, სტალინის ოცდათორმეტტონიანი ქანდაკება ავიტანე სვანეთში და ამირანსაც ავიტან, ოღონდ ერთად გადავწყვიტოთ, სად დავდგათო“, — ჩვეული იუმორით დაგვამშვიდა ყველა გრიშა ონიანმა.

* * *

85 წლის გახდა ბატონი ვახტანგ ონიანი, დიდი ქართველი შემოქმედი.

მისი კუთხის ხალხს სიტყვის გატეხვა არ სჩვევიათ.

ამირანს სვანეთი ელოდება.

ჩვენ ვახტანგ ონიანის ნიჭის თაყვანისმცემლებს, ახალი შემოქმედებითი გამარჯვებისა გვჯერა, რომელსაც იმედდაბრუნებული და მხნეობაშემატებული ხელოვანი გვპირდება.

მამუკა ვაშაკიძე

ახალი სპორტული მოედნები ნაძალადევში

ნაძალადევის რაიონში ნოემბრის თვეში 3 სპორტული მოედნის აღდგენა-რეკონსტრუქცია დაიწყება. რეაბილიტაცია ჩაუტარდება გურამიშვილის გამზ. №12-ის მიმდებარედ, თოდრიას ქუჩასა და ც.დადიანის ქ. №148 კორპუსთან არსებულ მოედნებს. თემქაზე კი უკვე დასრულდა 3 სპორტული მოედნის რეაბილიტაცია - მე-4 მ.რ. მე-11 კორპუსის წინ,მე-3 მ.რ. მე-2 კვ. 30-ე კორპუსისა და მე-10 ბ კვ. მე-3 კორპუსის მიმდებარედ.

განახლებული სტადიონები ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა დაათვალიერა. დავით გოგიძე ადგილობრივ მოსახლეობასაც შეხვდა, მათი პრობლემები მოისმინა და სამომავლო გეგმებზე ესაუბრა.

მიმდინარე წელს ნაძალადევის რაიონში სულ 17 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა რეაბილიტაცია — დაიგო ხელოვნური, მწვანე საფარი, გამოიცვალა კალათბურთის ფარები და ფეხბურთის კარები, ძველი ლითონის კონსტრუქციები შეიცვალა ახლით.

სოფელ ხაბუმეს გაუმჯობესებული წყალმომარაგება ექნება

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაბუმეს რამდენიმე ქუჩაზე წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია დასრულდა.

სამუშაოების ფარგლებში, 2300 მეტრი სიგრძის სრულიად ახალი ქსელი მოეწყო და მოწესრიგდა შიდა ინფრასტრუქტურა.

სოფლის მოსახლეობის ნაწილი და არასრული საჯარო სკოლა წყალმომარაგების ქსელის არარსებობის გამო, წლების განმავლობაში წყალს ვერ იღებდა. სამუშაოების დასრულების შედეგად, ათეულობით მცხოვრები და სოფლის სკოლა 24-საათიანი, უწყვეტი წყალმომარაგებით ისარგებლებს.

ინფრასტრუქტურული სამუშაოები საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის სახსრებით განხორციელდა.

სრული რეაბილიტაცია ბაგა-ბაღებს

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ თენგიზ შერგელაშვილმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად ჭიათურაში ახლად გახსნილი საბავშვო ბაღი დაათვალიერა, რომლის რეაბილიტაცია რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა.

2015-2016 წელს ქალაქ ჭიათურაში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 5 ბაგა-ბაღს. პროექტის ფარგლებში ამორტიზებული და მწყობრიდან გამოსული საბავშვო ბაღის შენობები გარემონტდა, მოეწყო სასადილო ოთახები, რეაბილიტაცია ჩაუტარდა სველ წერტილებს, ხუთივე საბავშვო ბაღში დამონტაჟდა ცენტრალური გათბობის სისტემა. ჭიათურის ბაგა-ბაღების რეაბილიტაციაზე ჯამში 869 114 ლარი დაიხარჯა. შესრულებული სამუშაოების შედეგად, 2016 წელს თანამედროვე სტანდარტების შესაბამის საბავშვო ბაღში ჭიათურაში მცხოვრები 1640-მდე აღსაზრდელი დადის. მაშინ როცა, 2009 წელს მუნიციპალურ ბაგა-ბაღებში მხოლოდ 900 ბავშვი დადიოდა.

ქართული კულტურის განვითარების

გზები და რუსთაველი

პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა მესამე ტომი

სათაურად ამ ჟურნალისტური ჩანაწერისა შერჩეულია სახელწოდება **პავლე ინგოროყვას** მონოგრაფიის **„შოთა რუსთაველი (1166-1250)“** მეორე კარისა, რომელიც პირველ კართან — **„საქართველოს ისტორიული წარსული“** — ერთად არსებითად განსაზღვრავს ამ წიგნის რანგს, მასშტაბსა და მნიშვნელობას.

ამ ორ კარშია ჩაწურული ის მონაპოვარი, რასაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ასპარეზზე შუა საუკუნეებამდე და კიდეც მონაწილეობდა მსოფლიო-ისტორიულ პროცესებში.

საერთოდ კი მონოგრაფიაში ხელშესახებადაა გადაშლილი მკითხველის თვალწინ საქართველო, როგორც დასავლურ და აღმოსავლურ ცივილიზაციათა თავისებური სინთეზური მოვლენა, რომლის უმაღლეს მწვერვალადაც წარმოდგა **შოთა რუსთველის** ეპიკური ქმნილება **„ვეფხისტყაოსანი“**, როგორც ნაყოფი მრავალსაუკუნოვანი კულტურისა და თვალნათლივი ანარეკლი ამ სინთეზისა.

მონოგრაფიაში გამოყენებულია ის მიგნებანი, მოსაზრებანი და დასკვნები, რასაც პავლე ინგოროყვამ მიაკვლია და დაადასტურა **„რუსთველიანასა“** და **„რუსთველიანას ეპილოგში“**, ოღონდ, ცხადია, შევსებულია ახალი დაკვირვებებითაც და, რაც მთავარია, ეს ყოველივე კიდევ უფრო მკვეთრადაა განზოგადებული და მასშტაბური ხედვის შუაგულში მოქცეული, უმნიშვნელოვანეს მეცნიერულ დასკვნებს მყარ საფუძველს რომ უქმნის შოთა რუსთველის ბიოგრაფიული ქარგა — „ვეფხისტყაოსნიდან“ ამოზიდული პოეზია და სინამდვილე, გამიჯნული და თავთავისებურად განსჯილი, ისტორიული რეალობის ანარეკლი საგულისხმო გასაღებს რომ გვაწვდის ეპოქის ხასიათსა და ეპიკოსის ცხოვრებისათვის თვალის მისადევნებლად.

შეიძლება ითქვას, „შოთა რუსთაველი“ ერთგვარ გვირგვინად ადგას „რუსთველიანასა“ და „რუსთველიანას ეპილოგს“, თავდაპირველად ბიოგრაფიული ესკიზის სახე რომ ჰქონდა, „ვეფხისტყაოსნის“ შექმნიდან 750 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო გამოცემათა შორის რომ მოათავსებდნენ.

მოგვიანებით საგრძნობლად შეივსებოდა, ოღონდ ცალკე წიგნად გამოქვეყნება აღარ ეღირსებოდა, თუმც ორჯერ გამოჩნდებოდა მკითხველის თვალსაწიერში: 1970 წელს — პავლე ინგოროყვას მიერ „ვეფხისტყაოსნის“ კრიტიკულად აღდგენილ დედანთან ერთად, და 1978 წელს — მეცნიერის შვიდტომეულის IV ტომში — სხვა ნაშრომების გვერდით.

და აი, შევსებული სახით პირველად ეღირსა ცალკე წიგნად დასტამბვა **ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა** და **„ჩვენი მწერლობის“** მიერ ხორცშესხმულ პროექტში — **დავით გალეგაშვილის** თანადგომითა და **როსტომ ჩხეიძის** რედაქტორობით, იმ გამოცემად, რომლის თარგმნაც საშურია ძირითად ევროპულ ენებზე, რათა დასავლეთისათვის თვალსაჩინო შეიქნას საქართველოს კულტურული მისიაც და უფრო სახიერად გამოიკვეთოს მისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობაც იმთავიდან ამთავამდე.

გეოპოლიტიკური მნიშვნელობა — სწორედაც კულტურულ მიღწევათა ფონზე!.. თორემ უამისოდ ძალიან ვზარალდებით დასავლეთის თვალში, თითქოს ხელსაყრელი ტერიტორიული მდებარეობის გარდა სხვა არც არაფერი გაგვაჩნდეს.

წიგნს წამძღვარებული აქვს **შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის რუსთველოლოგიის კვლევის ცენტრის ხელმძღვანელის ივანე ამირხანაშვილის** ესეი **„ჩვენი ისტორიის ასთვალა არგუსი“**, რომელიც სწორედ ამ სულისკვეთებითაა განმსჭვალული — საქართველოსა და ქართული კულტურის როლი და მისია კაცობრიობის ცხოვრებაში. პავლე ინგოროყვას კი მიუჩენს ადგილს იმ იშვიათ მეცნიერთა შორის, რომელთაც ყველაზე მეტი იცოდნენ, ყველაზე მეტს ხედავდნენ და ყველაზე მეტი ამიტომაც გააცოცხლეს ისტორიის ანალებიდან.

დაერთვის **როსტომ ჩხეიძის** განმარტება, თუ რატომ დაიბეჭდა დამატებად ამ ტომშიც ის სენსაციური აღმოჩენა, „რუსთველიანას ეპილოგში“ უკვე რომ გამოჩნდა და **მარჯვე დეტექტიური ძიების წყალობით იუწყება**

შოთა რუსთველისა და ცოტნე დადიანის ნათესაობა-მოყვრობას.

რუსთველოლოგიური პროექტის ამ მესამე წიგნის გამოცემასთან დაკავშირებით „მედიანიუსის“ ჟურნალისტს ესაუბრა **ივანე ამირხანაშვილი:**

„ჩემთვის დიდი პატივია ამ მნიშვნელოვან გამოცემაში მონაწილეობა. დაწერო წინასიტყვაობა პავლე ინგოროყვას წიგნისთვის, უბრალო საქმე არ გახლავთ. ასეთი რამ ყოველდღე არ ხდება.

პავლე ინგოროყვა ჩვენი თაობის ლიტერატორთა კერპი გახლავთ. ის იყო ჩვენი ნიშანსვეტი, ჩვენი ინტელექტუალური და ზნეობრივი ორიენტირი საბჭოური იდეოლოგიის ზეობის ჟამს. დღემდე ასეა. ჩვენთვის ეს სახელი მარტო მეცნიერებასთან ან მწერლობასთან კი არ არის გაიგივებული, არამედ ეთიკური გმირობის, სამშობლოსათვის თავდადებისა და სისპეტაკის სიმბოლოა.

ამიტომ ამ ფენომენალურ მეცნიერზე წერა ძნელიც იყო და ადვილიც. ძნელი იმიტომ, რომ შეუძლებელია ბოლომდე მისდიო მას ვირტუოზული კვლევების სიღრმეებსა და თავბრუდამხვევ არგუმენტაციებში; ადვილი კი იმიტომ, რომ მეცნიერული ძიების მთელი ეს სიღრმისეული პროცესი საბოლოო ჯამში უაღრესად საინტერესო, გასაგებ, მარტივ სისტემად ამოდის ზედაპირზე.

რუსთველოლოგიური თხზულებების მესამე ტომი მეცნიერის ხანგრძლივი, დაუცხრომელი შრომის გამორჩეული ნაწილია იმ მხრივ, რომ აქ პირველად ქართველოლოგიის ისტორიაში შეძლებისდაგვარად სრულად და თანმიმდევრულად არის წარმოდგენილი „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის ჰიპოთეტური ბიოგრაფია, რომელიც იმდენად სისტემური და კონსტრუქციულია, რომ ეჭვმიუტანელი სინამდვილის შთაბეჭდილებას ტოვებს.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა მონოგრაფიის მესამე კარი — „ცხოვრება შოთა რუსთაველისა“, რომელშიც არის მტკიცება, რომ შოთა რუსთაველი იყო ჰერეთის ბაგრატიონთა წარმომადგენელი, მფლობელი რუსთავ-ქალაქისა და ერისთავთ-ერისთავი — არის წყაროებიც; არის მტკიცება, რომ რუსთაველს, „ვეფხისტყაოსნის“ გარდა, დაუწერია პოემა იოსებ მშვენიერზე და თამარის „ქებანი“ — არის წყაროებიც; არის მტკიცება, რომ დიდი პოეტი განდევნეს სამშობლოდან — არის წყაროებიც; არის მტკიცება, რომ „ვეფხისტყაოსანში“ ჩადებულია საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური შიფრი — არის წყაროებიც.

აღარაფერს ვამბობ რუსთაველის დაბადების თარიღზე, რომელიც თვით იმ საზოგადოებამაც კი აღიარა, რომელსაც პავლე ინგოროყვას სახელის გაგონებაც არ სურდა.

ბოლოს ერთ რამეს დავძენდი, უფრო სწორად, ვისურვებდი, რომ პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიური ოთხწიგნეული რაც შეიძლება ბევრმა წიგნის მოყვარულმა წაიკითხოს, ბევრი ახალგაზრდა გაეცნოს და ეზიაროს ამ ტიტანურ შრომას, რომელიც ამტკიცებს, რომ ქართული მეცნიერული გენია განუმეორებელი, თავისთავადი და მარად ცოცხალი მოვლენაა“.

ერთი ტომის გამოსვლაღა გვაშორებს გამომცემელთა დაპირების აღსრულებისაგან:

შოთა რუსთველის დაბადებიდან 850 წლის აღსანიშნავად 2016 წელსვე მოთავებულიყო პავლე ინგოროყვას რუსთველოლოგიურ თხზულებათა ოთხტომეული.

თამარ გორგასლიძე,
„მედიანიუსი“

◎ პოლემიკა

როცა ბოდიში კურიოზს ვერ უშველის...

„ყოველი დროის ცილისმწამებლებს კარგად სცოდნიათ, რომ ადამიანის უსასტიკესი დასჯა მხოლოდ მაშინ ხდება, როცა მას სწორედ იმაში დასდებენ ბრალს, რის წინააღმდეგაც თავად იბრძვის იგი.“

კონსტანტინე გამსახურდია.

მთელი ჩემი ჟურნალისტური საქმიანობის მანძილზე, ურყევად ვიცავ ამ ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს: **„არასოდეს იცრუო!“**

ასე რომ არ იყოს, ვერასოდეს შევიდოდი ლექციაზე და სტუდენტებს ვერ ვასწავლიდი აშშ-ში ორწლიანი მასობრივი გამოკითხვის შედეგად გამოვლენილ ცხრა პრინციპს, რომელთაც ჟურნალისტი უნდა იცავდეს. ერთ-ერთი პრინციპი ასეთია: **„ჟურნალისტი პასუხს აგებს სინდისის წინაშე“** (სხვათა შორის, ჩემს სტუდენტებს ეს პრინციპი მეცხრედან პირველ ადგილზე „ავატანინე“)...

ქალბატონი **ინესა მერაბიშვილი** კი სწორედ სიცრუეში მდებს ბრალს („ს.რ.“ 26. 10. 16).

მაინც რა მოვიტყუე და რომელი ფაქტი დავამახინჯე?

ჩემი „სიცრუე“ ეფუძნებოდა გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 7 ოქტომბრის ნომერში გამოქვეყნებულ საკმაოდ ვრცელ ინფორმაციას, რომელიც გვაუწყებდა, თუ როგორ აღნიშნეს დედოფლისწყაროში ქართული პოეზიის სამი მწვერვალის — რუსთაველის, ვაჟასა და გალაკტიონის იუბილეები(850, 155, 125).

და როგორ აღნიშნეს?

საპატიო სტუმრად მიიწვიეს ქალბატონი ინესა მერაბიშვილი; დამსწრეთ აჩვენეს დოკუმენტური ფილმი „ინესა მერაბიშვილი“; სიგელით დააჯილდოვეს ქალბატონი ინესა მერაბიშვილი; წაიკითხეს („დიდი შთაგონებით“) გალაკტიონის ლექსები ინესა მერაბიშვილის წიგნიდან...

მივმართავ ღრმად პატივცემულ მკითხველს: **ვისი იუბილე აღუნიშნავთ დედოფლისწყაროში?!**

ერთადერთი, რის გამოც ქალბატონი ინესა მადანაშაულებს, არის იმ ფრაზის უგულებელყოფა, რომ მან „ვრცლად ისაუბრა რუსთაველის, ვაჟა-ფშაველასა და გალაკტიონის შემოქმედებაზე, არადა, ეს სწორედ მის დასანდობად (მიზეზს ადვილად მიხვდება) ჩავიდინე, რადგან კურიოზულ ვითარებას კიდევ უფრო აღრმავებდა: არ შეიძლება, ერთდროულად იყო რუსთველოლოგიც, გალაკტიონოლოგიც და ვაჟას შემოქმედების შემფასებელიც. დაილია საქართველოში ამ დარგების თვალსაჩინო მკვლევარები?!

იმედია, ბოდიშს მოიხდისო, — მუქარანარევი ინტონაციით წერს ქალბატონი ინესა, ამ ინტონაციას კიდევ რა უჭირს (არც ისეთი გულსუსტი გახლავართ, რომ შემაკრთოს), უფრო სამწუხარო ის საერთო სტილია, „37“-ის ელფერი რომ დაჰკრავს.

სხვათა შორის, ბოდიშის მოხდა ადვილად შემიძლია, როცა ის რაიმეს შველის.

ამ შემთხვევაში, ეს ამაოა...

და კიდევ, ქალბატონი ინესა მერაბიშვილი ასე მომიხსენიებს: ჟურნალისტი სოსო ჭუმბურიძე“ (თითქოს, თავისთავად ეს ნაკლებ საპატიო იყოს?!), საკუთარ სახელ-გვარს კი ტიტულებით ამკობს. მე არ გავახსენებ ქალბატონ ინესას ჩემს ტიტულებს, წიგნებს თუ პრიზებს...

იოსებ ჭუმბურიძე

ქრისტეს საფლავს მარმარილოს ფილა ახადეს

პირველად ბოლო 500 წლის განმავლობაში არქეოლოგებმა ქრისტეს საფლავს მარმარილოს ფილა მოხსნეს. სპეციალისტების მუშაობის ამასხველი ვიდეომასალა ინტერნეტით ცოტა ხნის წინათ გავრცელდა. მეცნიერების თქმით, მარმარილოს ფილის ქვეშ დიდი რაოდენობით ქვები აღმოჩნდა. სამუშაოების შედეგად, მეცნიერები ქრისტეს საფლავის ქვის პირველად სახეს დაადგენენ. მარმარილოს ფილა ქრისტეს საფლავზე მე-16 საუკუნეში დამონტაჟდა. ის საფლავისთვის ე.წ. დამცავს წარმოადგენდა. გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღეს, რაც მორწმუნეების მხრიდან საფლავის ქვის მოტეხვისა და ქურდობის ფაქტები გახშირდა.

თუ „საქართველოს რესპუბლიკას“ კითხულობთ, მთელი მსოფლიო, (რასაკვირველია, საქართველოიანად), ხელისგულზე გიდევთ!..

გამეორება, მადლობელი დარჩები!

ქართულო სიტყვავ!

პირველ მოწყვეტილ იების დღიდან,
მე ვარ დამწვარი შენი მსახური;
შენი თაფლი და მარილი მზრდიდა,
მზე შენ დამწერე და გაზაფხული.

შენ უკვდავი რძით დამაძუძურე,
შხეფი ნათლისა სულში დასძარი;
ჩემი დროშა ხარ მოიერიშე,
ჩემი ვენახი, ჩემი ტაძარი!

შენზე უჭკნობი და დიდებული
რაღამ შექმნას და ვიღამ დახატოს.
გულზე ხარ ცეცხლით მოჭიდებული, –
ქართველი ხალხის სულის ღაღადო!

ფოლად-ნადებო, ვარდში ხვეულო,
თუ დაგივიწყო, – შემახმეს ენა!
სისხლსაც შენ მოგცემ მე წვეთეულად,
სისხლის წინწკალსაც უკანასკნელად.

შენ – უკვდავების ჩამონადენო,
მშვენიერებაც ხომ შენით ითქვა;
დიდება შენდა, ჩემო ნათელო, –
ქართულო სიტყვავ, ქართულო სიტყვავ!

გიორგი ლეონიძე

საქართველოს რესპუბლიკა 98

(გამოდის 1918 წლიდან)

როგორც მსოფლიო მეცნიერებამ ბოლო დროს დაამტკიცა, ადამიანის ჯანმრთელობა თურმე მხედველობიდან, თვალებიდან იწყება. ესე იგი, უწინარესად თვალებს უნდა გავუფრთხილდეთ. მით უმეტეს, რომ მეცნიერებისავე მტკიცებით, ჩვენი თვალების უპირველესი მტერია ეკრანი – ტელევიზია იქნება ეს თუ განსაკუთრებით კომპიუტერი.

ამიტომ მხედველობის გაფრთხილების უებარი საშუალება და უებარივე წყაროა, ინფორმაციის თვალსაზრისით, ერთ-ერთი რომელიმე სრულყოფილი გაზეთის ან თუნდაც ჟურნალის კითხვა.

ამ მხრივ გამორჩეულად უნდა ჩაითვალოს გაზეთი **„საქართველოს რესპუბლიკა“**, რომლის ფურცლებიც თანამედროვე როგორც საშინაო, ისე საგარეო ცხოვრების მთელ შინაარსს იტევს.

სრულიად თამამად უნდა ითქვას, რომ, რასაც ამ გაზეთში წაიკითხავთ (შრიფტის სიდიდეც კი გათვალისწინებულია), სხვაგან ვერც ერთ გაზეთში ვერ ნახავთ (პოლიტიკა, სოციოლოგია, კულტურა, ხელოვნება, მედიცინა, განათლება, მეცნიერება, სპორტი, იუმორი და სხვ).

„საქართველოს რესპუბლიკის“ ყოველდღიური ერთგული მკითხველი მთელი მსოფლიოს ამჟამინდელი მდგომარეობის სრულ კურსშია.

ამიტომ ჩვენი კეთილი რჩევაა, რომ გამოიწეროთ „საქართველოს რესპუბლიკა“ და ნამდვილად აღარ დაგჭირდებათ მედიის სხვა საშუალებათა ყოველდღიური თვალიერება.

ჩვენი გაზეთი კვირაში 5-ჯერ გამოდის. თვეში 10 ლარი, 6 თვეში 60 ლარი, ხოლო მთელი წელიწადი 120 ლარი ჯდება. იაფი და იორღაო, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

2017 წლისთვის ხელმოწერა უკვე დაწყებულია.

ყველაზე სანდო, გამართული ქართულით დაწერილი გაზეთი აქვე გპირდებათ, რომ თქვენი ყოველი შენიშვნა და კეთილი სურვილი აუცილებლად გათვალისწინებული იქნება.

გაზეთს ყოველ დილით შინ მოგვართმევენ.

გამოწერა შეგიძლიათ:

მაცნე – 2 14 39 06; 2 14 74 22; პლანეტა ფორტე – 2 98 89 90; პრეს+ – 599 24 00 42; ჯეომედია – 593 97 78 88; მერკური – 577 15 78 17; ლიონი – 598 64 23 30.

ხელმოწერა შესაძლებელია თვითონ რედაქციაშიც (სულხან-საბას №3).

იაპონური ბაღი საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ნალკოტში

დღეს მთელს მსოფლიოში საკმაოდ დიდი პოპულარობა მოიპოვა „იაპონურმა ბაღმა“, რომელიც თავისი განსაკუთრებული სილამაზით და ამ სილამაზეში ჩაძსოვილი მითოლოგიითა და იაპონური კულტურის ელემენტებით ხასიათდება.

დასავლური ტიპის ბაღისგან განსხვავებით, იაპონური ბაღი ტრადიციულად ქმნის ისეთ სცენურ კომპოზიციას, რაც წარმოადგენს ბუნების იმიტაციას და ცდილობს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, არ ჩანდეს ამ ყველაფერში ხელოვნურობის ნასახიც კი.

ხეებსა და ჩირგვებთან ერთად იაპონური ბაღის მხატვრული გაფორმებისთვის გამოიყენება ქვის ლოდები, ქვიშა, ხელოვნური ბორცვები, წყალსატევები და პატარა ჩანჩქერები. ბაღის დიზაინერები გარკვეული ბუნების სცენების შექმნისას სამ ძირითად პრინციპს იცავენ, როგორიცაა: შემცირებული მასშტაბი, სიმბოლიზაცია და „ნასესხები პეიზაჟები“. პირველი ითვალისწინებს მთებისა და მდინარეების ბუნებრივი ხედების მინიატურიზაციას, რათა ერთად მოაქციონ ისინი მოცემულ შეზღუდულ სივრცეში; ამაში შეიძლება შედიოდეს იდეალიზებული სოფლის პეიზაჟის შექმნა შუა ქალაქში. სიმბოლიზაცია საკუთარ თავში მოიცავს აბსტრაგირებას, მაგალითად, როცა თეთრი ქვიშის გამოყენება გულისხმობს იქვე ახლოს ზღვის არსებობას. „ნასესხები პეიზაჟის“ შემთხვევაში დიზაინერები ხელოვნური ბაღის უკანა პლანზე არსებულ რეალურ ბუნებრივ ხედებს (მაგ.: მთები ან ოკეანე და ა.შ.) იყენებენ და ცდილობენ, გადააქციონ ისინი მათი ხელოვნური სცენური კომპოზიციის განუყრელ ნაწილად. იაპონური ბაღის ძირითადი აგებულების შთაგონების წყარო, ერთ-ერთი სკოლის მიხედვით, არის კლდეები და კლდოვანი მთაგრეხილები. ძველ დროში იაპონელებს სწამდათ, რომ კლდეებით გარშემორტყმული ადგილი ღმერთებით იყო დასახლებული და ამიტომაც მას ეძახდნენ: ამაცუ-ივასაკას (ღვთაებრივი ბარიერი) ან ამაცუ-ივაკურას (ღვთაებრივი სამყოფელი). შესაბამისად, ხეთა ხშირ ჯგუფს უწოდებდნენ ჰიმოროგის (ღვთაებრივი ზღუდე) და მათ ირგვლივ შემოვლებულ თხრილებსა და ნაკადულებს მიძუგაკის (წყლის ღობეები). იაპონური ბაღების კლასიფიცირება შეიძლება ორ ტიპად: ცუკიიამა (გორაკებიანი ბაღი), რომელიც შედგება გორაკებისა და წყალსატევებისგან და ჰირანივა (დაბლობიანი ბაღი), რომელიც მოიცავს ვაკე ტერიტორიას, გორაკების, ბორცვებისა და ტბების გარეშე. თავდაპირველად გორაკებიან სტილს ირჩევდნენ დიდი სახლების მთავარი ბაღისთვის და დაბლობიან სტილს - შეზღუდული სივრცეებისთვის. მაგრამ უკანასკნელი უფრო პოპულარული გახდა მოგვიანებით, ჩაის ცერემონიისა და ჩაის ცერემონიის ოთახის, ჩაშიცუს შემოღების შემდეგ.

საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა იაპონური ბაღის რამდენიმე სტილი. შინდენ-ძუკურის სტილის ბაღები, შუიუ (გასეირნების ბაღი), ჯოდოს სტილის ბაღები, ძენ სექტის ბაღები, ჩაის ბაღი და კაიიუს სტილის ბაღები.

იაპონური ბაღები თითქმის მთელ მსოფლიოში გავრცელდა. მათგან თავიანთი სილამაზით გამოირჩევა იაპონური ბაღი Zen პორტლანდში (ამერიკის შეერთებული შტატები). იაპონური ბაღი „ხალიჩა“ ავსტრალიაში. იაპონური ბაღი Hamilton – ახალი ზელანდია. იაპონური ბაღი Como (ამერიკის შეერთებული შტატები) და, რა თქმა უნდა, იაპონიაში – იაპონური ბაღი მუზეუმი Adachi, Daizen-Ji Zen Rock კიოტოში, Ginkau-Ji Zen, Korakuen Okayama, იაპონური წვების ბაღი კიოტოსთან ახლოს, Ritsurin Takamatsu, იაპონია. Suizenji-jojuen Kumamoto და მათში სამი ყველაზე იდუმალი, იაპონიის ულამაზეს პეიზაჟებიანი სამი ბაღიც: კაირაკუენი მიტოში (იბარაკის პრეფექტურა), კენროკუენი კანაძავაში (იშიკავას პრეფექტურა) და კორაკუენი ოკაიამაში (ოკაიამას პრეფექტურა).

და აი, ბოლოს და ბოლოს, იაპონურმა ბაღმა საქართველოშიც დაიდო ბინა.

საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ერთ-ერთ თვალსაჩინო ადგილას, 240 კვადრატული მეტრის ფართობზე იაპონური ხელოვნების ისეთი ნიმუშები განთავსდა, როგორიცაა ტორიის ჭიშკარი (Torii Gate), რომელშიც გავლის წინ, მთელი ცუდი აურა გარეთ უნდა დატოვო, იაპონური სილამაზის ერთ-ერთი სიმბოლო – ალისფერი ჭიშკარი, ბედნიერებისა და იღბლის მომტანი სკულპტურა, ტასოტოს სტილის ქვის კოშკი (Tasoutou), კასუგას სტილის ქვის ლამპარი (Kasuga Syle stone lantern) და ტრადიციული იაპონური ალისფერი ხიდი.

ბაღის ერთგვარი სიმბოლოა ფუჯის (ფუძიამას) მთის აღმნიშვნელი, კონუსისებრი სკულპტურა და ფუჯისანის ვულკანური მთის ფერდობებიდან სპეციალურად ჩამოტანილი ლავის ნამსხვრევები, რომლებიც იაპონური ბაღის უცვლელ ელემენტს წარმოადგენენ.

იაპონურ ბაღში დაირგო 200 სახეობის სხვადასხვა მცენარე. ნეკერჩხალი, ფიჭვი, კიპარისი, ნაძვი, იაპონური ჭანჭყატი, როდოდენდრონი და რა თქმა უნდა, იაპონური ალუბალი – საკურა.. ყველაფერი ეს საოცარ კომპოზიციას ქმნის.

ბაღის პროექტი ეკუთვნის იაპონურ კომპანია „კოსუგის“, რომლის წარმომადგენლებიც ბოტანიკური ბაღის თანამშრომლებთან ერთად, უშუალოდ იყვნენ ჩართულნი ბაღის მოწყობის პროცესში.

საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში, ამ შესანიშნავი ბაღის მინიმშენებლობა, რომელიც საქართველოსა და იაპონიის მეგობრობას ეძღვნება, განხორციელდა საქართველოში იაპონიის საელჩოს, თბილისის მერიისა და საქართველოს ეროვნული ბოტანიკური ბაღის ძალისხმევით. JAPAN EXPO ,70 FUND-ისა და კომპანია JTI-ის მხარდაჭერით.

ბაღი ოფიციალურად 22 ოქტომბერს გაიხსნა და გახსნის საზეიმო ცერემონიალს თბილისის მერი, ბატონი დავით ნარმანია, საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, ბატონი დავით ჯალაღანია, იაპონიის ელჩი საქართველოში, ბატონი ტოშიო კაიტანი, სამშენებლო კომპანია კოსუგის გენერალური დირექტორი, ბატონი სატარო კოსუგი და კომპანია JTI-ს გენერალური დირექტორი, ბატონი პოლ ჰოლოვეი დაესწრნენ.

ხის დარგვის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, რომელიც სწორედ 22 ოქტომბერს აღინიშნება, მოწვეულმა სტუმრებმა იაპონური ბაღის მიმდებარე ტერიტორიაზე სიმბოლურად რამდენიმე ნერგი დარგეს.

მთელს მსოფლიოში ყოველდღიურად უამრავი ტურისტი სტუმრობს ადამიანის ხელით შექმნილ საოცრებებს, რომლებიც ბუნებასთან მიახლოების, იდუმალებისა და სილამაზის ერთობლიობაა. სტუმრობს და აბსოლუტურად სხვა განწყობით ტოვებს მას. ტოვებს, რათა კიდევ ერთხელ დაბრუნდეს და კიდევ ერთხელ დატკბეს ამ მშვენიერებით.

თბილისის ბოტანიკური ბაღი მსოფლიო საოცრებების ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია.

გია გაბრიჭიძე

გამწვანების აქციამ თბილისი მოიცვა

შიდა ტერიტორიების გამწვანების პროექტის ფარგლებში ბუდაპეშტის ქუჩაზე №40-ის მიმდებარე ფერდობზე გამწვანების აქცია გაიმართა. აქციაზე 50 ძირი კიპარისის, მთის ნეკერჩხლისა და ფიჭვის დიდი ზომის ნერგი დაირგო.

გამწვანების ღონისძიებაში თბილისის მერიის მოადგილე გიგა ნიკოლეიშვილი ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსთან ნინო სულხანიშვილთან და საბურთალოს რაიონის გამგებელთან, ბექა მიქაუტაძესთან ერთად ჩაერთო.

„მოსახლეობის თხოვნის გათვალისწინებით საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორია გავამწვანეთ, ბუდაპეშტის ქუჩაზე 50 წიწვოვანი და ფოთლოვანი ნერგი დავრგეთ. ღონისძიებაში მოსახლეობაც აქტიურად არის ჩართული. ვფიქრობთ, გამწვანების მასშტაბური სამუშაოები თბილისში ეკოლოგიურ მდგომარეობას გააუმჯობესებს“ – განაცხადა გიგა ნიკოლეიშვილმა.

ნინო სულხანიშვილის თქმით, თბილისის სხვადასხვა რაიონში გასამწვანებელი ადგილები მოსახლეობასთან ერთად შეირჩა, რომლის შემდეგაც შიდა ტერიტორიების ხეებით შევსება აქტიურად დაიწყო. მიმდინარე სეზონზე საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ, სკვერებში და გამზირებზე 30 000-მდე ხე-მცენარე დაირგვება.

ქალაქის შემოგარენი და ცენტრალური უბნები, შემოდგომაზე, 80 000 ნერგით განაშენიანდება. 50 000 ხე-მცენარე მახათას მთაზე და თბილისის ზღვის გარშემო დაირგვება. დასარგავი ხე-მცენარეების სიმაღლე 1,5-3,5 მეტრი სიმაღლის ფარგლებში მერყეობს. მათ შორის, 5000 ნერგის სიმაღლე 2,5-3,5 მეტრია. საშემოდგომო გამწვანების პროცესი დეკემბრის შუა რიცხვებამდე გაგრძელდება.

სპეციალისტების რეკომენდაციით საშემოდგომო გამწვანებისთვის შერჩეულ სახეობებს შორისაა თეთრი აკაციის, მინდვრის ნეკერჩხლის, იფანის, აღმოსავლური ჭადრის, ზეთისხილის, ჰიმალაის კედარის, კიპარისის, ნუშისა და ვერხვის ნერგები.

ნარგავების მოვლა-პატრონობას კონტრაქტორი კომპანიები4 წლის ვადით უზრუნველყოფენ.

ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲐᲪ ᲙᲘ ᲯᲝᲯᲝᲮᲔᲗᲘᲐ!..

ᲠᲐᲡ ᲒᲕᲘᲛᲖᲐᲓᲔᲑᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ?

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ **კვირის წინათ ერევანში გაიმართა რუსეთის ინიციატივით შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის, „კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციის“** (Организация Договора Коллективний Безопасность – ОДКБ) **უმნიშვნელოვანესი სამიტი. სამწუხაროდ, მას საქართველოში ყურადღება თითქმის არავინ მიაქცია. დასავლეთში კი, სადაც უმთავრესი პრიორიტეტი არა პოსტსაბჭოური სივრცე, არამედ სირია და ახლო აღმოსავლეთია, საერთოდ მესამეხარისხოვან მოვლენად ჩათვალეს.**

თუმცა, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ უნდა გავიგოთ, რომ ის, რაც დასავლელი პარტნიორებისთვის „მეორე“ თუ „მესამეხარისხოვანია“, საქართველოსთვის არათუ პირველხარისხოვანი, არამედ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს.

ნიშანდობლივია, რომ ერევნის სამიტს არ დაესწრო ყაზახეთის პრეზიდენტი, ნურსულთან ნაზარბაევი. იგი მოულოდნელად გახდა ავად; თუმცა ყველას ესმის, რომ ეს ავადმყოფობა, ასე ვთქვათ, „დიპლომატიური ხასიათისაა“. ნაზარბაევმა, უბრალოდ, იცოდა, რა საკითხებს განიხილავდნენ ამ ისტორიულ სამიტზე და არ სურდა, მათთან აფილირებულიყო.

ამგვარი სვლა ყაზახეთის მრავალნაცად პრეზიდენტს ადრეც გაუკეთებია და არ შემცდარა – იგი ხომ ერთ-ერთი ყველაზე ჭკვიანი და ეშმაკი (მაშასადამე პროფესიონალი) პოლიტიკოსია პოსტსაბჭოურ სივრცეზე.

ახლა ირკვევა, რომ მოსკოვის დაჟინებული მოთხოვნით, **ᲝᲓᲙᲑ** წევრებმა სამიტზე მიიღეს ე.წ. „ერევნის დოქტრინა“ და, რაც მთავარია, შექმნეს „ოპერატიული სარდლობა“. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია სიახლეა: „ოპერატიულ სარდლობას“ სამხედრო ბლოკი ქმნის მაშინ, როდესაც მის წინაშე უკვე არა მხოლოდ გრძელვადიანი, სტრატეგიული, არამედ მოკლევადიანი, ოპერატიული (ესე იგი მიმდინარე და აქტუალური) სამხედრო ამოცანები წარმოიშობა.

ბუნებრივია, შეიძლება ვიფიქროთ, რომ ყოველივე უკავშირდება სირიას, სადაც ვითარება განსაკუთრებით დაიძაბა ალეპოს შტურმის გამო. შესაბამისად იზრდება დაძაბულობაც რუსულ სამხედრო კონტინგენტსა და „ანტიასადურ“ კოალიციას შორის.

აქვე უნდა ითქვას, რომ როგორც სირიის ამბებით დადასტურდა, „კოალიციასაც გააჩნია“. ამერიკულ კოალიციაში 50 (!) სახელმწიფო შედის, ხოლო რუსეთის მოკავშირე მხოლოდ შუა საუკუნეებში ჩარჩენილი ირანია. კი ბატონო, მაგრამ... მერედა რა, ამით? რეალურად რა იცვლება ბრძოლის ველზე, უფრო სწორად, სირიის ცაში? „50-წევრიანი კოალიცია“ ვერ ბედავს „არასაფრენი ზონის“ გამოცხადებას ალეპოს ცაში, ამიტომ რუსეთი უმოწყალოდ ბომბავს ალეპოს და თუ ასე გაგრძელდა, შეიძლება კიდეც აიღოს ეს ქალაქი, რითაც სირიაში სამოქალაქო ომი მოსკოვის გამარჯვებით დასრულდება, ვინაიდან ალეპოს მიღმა მხოლოდ უდაბნოა და მეტი არაფერი. მეტი იქ პუტინს არც არაფერი აინტერესებდა, მისთვის მთავარი იყო, დაებლოკა ყატარიდან – ევროპისკენ მიმავალი გაზსადენის მშენებლობა.

ამრიგად, სირიაში რუსეთს სომხეთი, ტაჯიკეთი, ყირგიზეთი და ბელორუსი ნამდვილად არ სჭირდება.

მეორე ვერსიით, ერევნის სამიტის მიზანი იყო, აზერბაიჯანის გაფრთხილება, არ გაბედოს „სტატუს-ქვოს“ დარღვევა ყარაბაღის გარშემო. ეს „სტატუს-ქვო“ 1994 წელს ჩამოყალიბდა, – ომში სომხეთის გამარჯვების შედეგად და ახლახანს კინაღამ დაირღვა მას შემდეგ, რაც აზერბაიჯანულმა არმიამ 2-3 კილომეტრით წაიწია ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში.

მაგრამ არსებობს ერთი ნიშან-თვისება, რომელიც გვაფიქრებინებს, რომ ერევნის სამიტი და **ᲝᲓᲙᲑ**-ს სამხედრო მექანიზმთა მომზადება რუსეთს უფრო ფართო რეგიონული კონტექსტებისთვის სჭირდებოდა. ამ დისკურსში დავაკვირდეთ გადაწყვეტილებებს, რაც ერევნის სამიტის დასრულებისთანავე, ერთდროულად (!) მიიღეს ცხინვალსა და სოხუმში.

* * *

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ **დღის წინათ, „სამხრეთ ოსეთის“ თავდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ადგილობრივი ოსები, ამიერიდან, რუსეთის სამხედრო კონტინგენტში იმსახურებენ. იგულისხმება ის კონტინგენტი, რომელიც უშუალოდ ოკუპირებულ ტერიტორიაზეა განლაგებული. არანაკლებ საგულისხმო და ნიშანდობლივია, რომ იმავე კონტინგენტში მიევლინებიან ის ოსი ოფიცრები, რომლებიც რუსეთის სხვადასხვა სამხედრო სასწავლებელს ამთავრებენ.**

გამოდის, მოსკოვი, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე, ქმნის ყოველივე ქართულის და ქართველების ფანატიკურად მოძულე ახალ „ოსურ არმიას“, რომლის რიგითი შემადგენლობა და ოფიცერთა კორპუსი (შესაძლოა გარდა უმაღლესი სარდლობისა) მთლიანად ოსური იქნება. სამაგიეროდ თვით „სამხრეთ ოსეთს“ აღარ ეყოლება არანაირი „არმია“ (ან კი როდის ჰყოლია) და მხოლოდ ფორმალურად იარსებებს „სამხრეთ ოსეთის თავდაცვის“ სამინისტრო.

პარალელურად, აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრომაც განაცხადა, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იქმნება ერთობლივი სამხედრო კონტინგენტი, რომელშიც შევა აფხაზეთის 800-კაციანი რაზმი, – არტილერიითა და საზენიტო დანადგარებით.

თუ გავითვალისწინებთ, რომ არც ე.წ. „აფხაზური არმია“ არსებობს რეალურად, ხოლო იმ გაქუცულ ფორმირებებში, რომელსაც „აფხაზურ არმიას“ უწოდებენ, სულ 500-800 „ჯარისკაცი“ და „ოფიცერი“ მსახურობს (საბაჟოზე და საზღვარზე, – სადაც ფული კეთდება, - იცოცხლე, ბევრნი არიან) გამოდის, ისევე როგორც „სამხრეთ ოსეთში“, აფხაზეთშიც ყველა შეიარაღებული ფორმირება შედის იქ დისლოცირებული რუსული კონტინგენტის შემადგენლობაში, ხოლო შესაბამისი „ხელშეკრულების“ ის დებულება, რომ ამ „გაერთიანებული სამხედრო დაჯგუფების“ ამოქმედების შესახებ გადაწყვეტილებას „ერთობლივად იღებენ რუსეთისა და აფხაზეთის უმაღლესი მთავარსარდლები“, უბრალოდ სასაცილოა: როგორ წარმოგიდგენიათ, რომ პუტინი - ჰაჯიმბას დაეკითხება რამეს?

ცოტამ თუ იცის, რომ 2008 წლის 10 აგვისტოს, როდესაც გენერალ შამანოვის სარდლობით რუსული კონტინგენტი სამეგრელოში შემოიჭრა, სენაკის სამხედრო ბაზა დაარბია, ფოთი აიღო და სვანეთისკენ დაიძრა (რის შედეგადაც 2 500 კბილებამდე შეიარაღებულმა ქართველმა მეომარმა უბრძოლველად დატოვა კოდორის ხეობა და იარაღის მთებიც მიატოვა – აქაოდა „ალყას გვარტყამენო“), რუსებთან ერთად იქ ე.წ. „აფხაზური არმიის“ ქვედანაყოფებიც შემოვიდნენ. ბევრნი არ ყოფილან, – სულ რამდენიმე ასეული იყო. მაგრამ ნამდვილად იყვნენ, მოძრაობდნენ БТР-ებით „რუს მოკავშირეებთან ერთად“ და თუ იმდროინდელ კადრებს ყურადღებით ნახავთ, ამაში იოლად დარწმუნდებით.

მათ, რასაკვირველია, დიდი სურვილი ჰქონდათ, სამეგრელო გადაებუგათ და გაეუპატიურებინათ, თუმცა სენაკის ბაზა გაძარცვეს და უკან, აფხაზეთში დაბრუნდნენ ნაალაფარით.

ასევე, ოსი ბლოგერები დღემდე ამაყობენ და თავს იწონებენ სოციალურ ქსელებში, რომ „სამხრეთ ოსეთის არმიის ქვედანაყოფებმა აიღეს გორი რუს თანამებრძოლებთან ერთად“ და ა.შ.

ᲔᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ, ᲗᲘᲗᲘᲥᲝᲡ ᲢᲐᲙᲘᲛᲐᲡᲮᲐᲠᲐᲝᲑᲐᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ. ᲝᲚᲝᲜᲓ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲛ ᲖᲝᲒᲘᲔᲠᲗᲘ ᲪᲜᲝᲑᲘᲗ, ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲖᲔᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲝᲥᲢᲠᲘᲜᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲓᲙᲑ ᲡᲐᲛᲘᲢᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲢᲙᲘᲪᲐ, „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲡᲐ“ ᲓᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲓᲘᲡᲚᲝᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲠᲘᲒᲘᲗᲘ ᲨᲔᲛᲐᲓᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ (ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲒᲐᲠᲓᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲠᲓᲚᲝᲑᲘᲡᲐ) ᲛᲗᲚᲘᲐᲜᲐᲓ ᲝᲡᲣᲠᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ. ᲡᲐᲛᲐᲒᲘᲔᲠᲝᲓ ᲗᲕᲘᲗ „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲡ“ ᲐᲦᲐᲠ ᲔᲧᲝᲚᲔᲑᲐ ᲐᲠᲐᲜᲐᲜᲐᲘᲠᲘ „ᲐᲠᲛᲘᲐ“ (ᲐᲜ ᲙᲘ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲰᲧᲝᲚᲘᲐ) ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲐᲓ ᲘᲐᲠᲡᲔᲑᲔᲑᲡ „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ“ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ.

ᲞᲐᲠᲐᲚᲔᲚᲣᲠᲐᲓ, ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛᲐᲪ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲐᲖᲔ ᲘᲥᲛᲜᲔᲑᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲨᲘᲪ ᲨᲔᲕᲐ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ 800-ᲙᲐᲪᲘᲐᲜᲘ ᲠᲐᲖᲛᲘ, – ᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲔᲜᲘᲢᲝ ᲓᲐᲜᲐᲓᲒᲐᲠᲔᲑᲘᲗ.

ᲗᲣ ᲒᲐᲕᲘᲗᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲐᲠᲪ Ე.Წ. „ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲐᲠᲛᲘᲐ“ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲐᲓ, ᲮᲝᲚᲝ ᲘᲛ ᲒᲐᲫᲣᲪᲣᲚ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲔᲑᲨᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ „ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠ ᲐᲠᲛᲘᲐᲡ“ ᲣᲬᲝᲓᲔᲑᲔᲜ, ᲡᲣᲚ 500-800 „ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲘ“ ᲓᲐ „ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲘ“ ᲛᲡᲐᲮᲣᲠᲝᲑᲡ (ᲡᲐᲑᲐᲟᲝᲖᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲖᲦᲕᲐᲠᲖᲔ, – ᲡᲐᲓᲐᲪ ᲤᲣᲚᲘ ᲙᲔᲗᲓᲔᲑᲐ, - ᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔ, ᲑᲔᲕᲠᲜᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ) �გᲐᲛᲝᲓᲘᲡ, ᲘᲡᲔᲕᲔ ᲠᲝᲒᲝᲠᲪᲐᲠᲐᲛᲔᲚᲘᲪ ᲝᲤᲘᲪᲔᲠᲗᲐ ᲘᲔᲠᲐᲠᲮᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲢᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ. ᲛᲔᲢᲘ ᲘᲥ ᲞᲣᲢᲘᲜᲡ ᲐᲠᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲓᲐ, ᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲘᲧᲝ, ᲓᲐᲔᲑᲚᲝᲙᲐ ᲧᲐᲢᲐᲠᲘᲓᲐᲜ – ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲒᲐᲖᲡᲐᲓᲔᲜᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ.

ᲐᲛᲠᲘ�გᲐᲓ, ᲡᲘᲠᲘᲐᲨᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘ, ᲢᲐᲯᲘᲙᲔᲗᲘ, ᲧᲘᲠᲒᲘᲖᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲐ.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲕᲔᲠᲡᲘᲘᲗ, ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲛᲘᲖᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ, ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲘᲡ ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲐ, ᲐᲠ �გᲐᲑᲔᲓᲝᲡ „ᲡᲢᲐᲢᲣᲡ-ᲥᲕᲝᲡ“ ᲓᲐᲠᲦᲕᲔᲕᲐ ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲡ ᲒᲐᲠᲨᲔᲛᲝ. ᲔᲡ „ᲡᲢᲐᲢᲣᲡ-ᲥᲕᲝ“ 1994 ᲬᲚᲔᲡ ᲩᲐᲛᲝᲧᲐᲚᲘᲑᲓᲐ, – ᲝᲛᲨᲘ ᲡᲝᲛᲮᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ ᲓᲐ ᲐᲮᲚᲐᲮᲐᲜᲡ ᲙᲘᲜᲐᲦᲐᲛ ᲓᲐᲘᲠᲦᲕᲐ ᲛᲐᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲠᲐᲪ ᲐᲖᲔᲠᲑᲐᲘᲯᲐᲜᲣᲚᲛᲐ ᲐᲠᲛᲘᲐᲛ 2-3 ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲘᲗ ᲬᲐᲘᲬᲘᲐ ᲝᲙᲣᲞᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ ᲡᲘᲦᲠᲛᲔᲨᲘ.

ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲘᲨᲐᲜ-ᲗᲕᲘᲡᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ �გᲕᲐᲤᲘᲥᲠᲔᲑᲘᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲢᲘ ᲓᲐ **ᲝᲓᲙᲑ**-Ს ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲛᲔᲥᲐᲜᲘᲖᲛᲗᲐ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲠᲣᲡᲔᲗᲡ ᲣᲤᲠᲝ ᲤᲐᲠᲗᲝ ᲠᲔ�გᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲭᲘᲠᲓᲔᲑᲝᲓᲐ. ᲐᲛ ᲓᲘᲡᲙᲣᲠᲡᲨᲘ ᲓᲐᲕᲐᲙᲕᲘᲠᲓᲔᲗ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲠᲐᲪ ᲔᲠᲔᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲢᲘᲡ ᲓᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜᲐᲕᲔ, ᲔᲠᲗᲓᲠᲝᲣᲚᲐᲓ (!) ᲛᲘᲘᲦᲔᲡ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲮᲣᲛᲨᲘ.

* * *

ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ **ᲓᲦᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ, „ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘᲡ“ ᲗᲐᲕᲓᲐᲪᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲛ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲝᲡᲔᲑᲘ, ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ, ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲨᲘ ᲘᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲘᲕᲓᲘᲕᲐᲠᲗᲝ. ᲠᲝᲓᲘᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲕᲔᲚᲝᲓᲗ ᲐᲛ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐᲡ?“** – ᲙᲐᲠᲐᲡᲘᲜᲛᲐ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ:

– ᲗᲣ ᲩᲔᲛᲛᲐ �პᲐᲢᲘᲕᲪᲔᲛᲣᲚᲛᲐ ᲙᲝᲚᲔ�გᲐᲛ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ ᲐᲡᲔᲗᲘ �გᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ �გᲐᲐᲙᲔᲗᲐ, ᲔᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲛᲘᲡᲐᲡᲐᲚᲛᲔᲑᲔᲚᲘᲐ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲓᲘ�პᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲝᲠᲘ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠ ᲧᲝᲤᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲮᲠᲘᲓᲐᲜ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲙᲝᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲐᲮᲚᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲐᲡᲔ ᲠᲝᲛ, ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲜᲮᲠᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲕᲐᲓᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ. ᲐᲛᲐᲡᲝᲑᲐᲨᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲓᲠᲔ ᲘᲧᲝ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲩᲔᲛᲡᲐ ᲓᲐ ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡ ᲨᲝᲠᲘᲡ, ᲩᲕᲔᲜ ᲕᲪᲓᲘᲚᲝᲑᲗ, ᲛᲔᲢᲘ ᲫᲐᲚᲘᲡᲮᲛᲔᲕᲐ ᲛᲘᲕᲛᲐᲠᲗᲝᲗ ᲝᲠᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲐᲙᲔᲜ ᲘᲛ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲨᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲔᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲡ �გᲐᲠᲔᲨᲔ. ᲐᲡᲔᲗᲘ ᲡᲤᲔᲠᲝᲔᲑᲘ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲑᲔᲕᲠᲘᲐ – ᲕᲐᲭᲠᲝᲑᲐ, ᲡᲐᲢᲠᲐᲜᲡᲞᲝᲠᲢᲝ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ, ᲰᲣᲛᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲜᲢᲐᲥᲢᲔᲑᲘ, ᲒᲐᲪᲕᲚᲐ-ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲚᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ. ᲩᲕᲔᲜ ᲐᲛ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲒᲔᲒᲛᲐᲖᲝᲛᲘᲔᲠᲐᲓ ᲒᲐᲕᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲗ. ᲘᲡ ᲡᲐᲒᲠᲫᲜᲝᲑᲘ ᲨᲔᲓᲔ�გᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲐᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲕᲐᲮᲔᲠᲮᲔᲗ, ᲡᲠᲣᲚᲐᲓ �პᲐᲡᲣᲮᲝᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲗᲐ ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲔᲑᲡ.

ᲒᲠᲘ�გᲝᲠᲘ ᲙᲐᲠᲐᲡᲘᲜᲘ: ᲞᲝᲖᲘᲢᲘᲣᲠᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲛᲮᲐᲠᲔᲖᲔᲐ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲘ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ **საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გრიგორი კარასინი გაზეთ „იზვესტიის“ კორესპონდენტ ტატიანა ბაიკოვას ესაუბრა.**

საინფორმაციო სააგენტო **„ნიუსპრესი“** გთავაზობთ ამონარიდს ინტერვიუდან, რომელიც საქართველოს შეეხება:

კითხვაზე – „პრაღაში თქვენ 19 ოქტომბერს რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს ზურაბ აბაშიძეს შეხვდით. „იზვესტიასთან“ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ორივე მხარე - საქართველოც და რუსეთის დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენისკენ მივდივართო. როდის შეიძლება ველოდოთ ამ მოვლენას?“ – კარასინმა უპასუხა:

– თუ ჩემმა პატივცემულმა კოლეგამ ზურაბ აბაშიძემ ასეთი განცხადება ნამდვილად გააკეთა, ეს ფაქტი მხოლოდ მისასალმებელია. როგორც ცნობილია, 2008 წლის სექტემბერში დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტის ინიციატორი რუსეთი ნამდვილად არ ყოფილა და შესაბამისად, ჩვენი მხრიდან ურთიერთობის აღდგენისათვის დაბრკოლება არ იყო და არც ახლა არ არსებობს. ასე რომ, პოზიტიური ცვლილებები და მათი განხორციელების ვადები მხოლოდ ქართულ მხარეზეა დამოკიდებული. ამასობაში, როგორც ადრე იყო შეთანხმებული ჩემსა და ზურაბ აბაშიძეს შორის, ჩვენ ვცდილობთ, მეტი ძალისხმევა მივმართოთ ორმხრივი კავშირების ნორმალიზაციისაკენ იმ სფეროებში, სადაც ეს შესაძლებელია დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენის გარეშე. ასეთი სფეროები საკმაოდ ბევრია – ვაჭრობა, სატრანსპორტო მიმოსვლა, ჰუმანიტარული კონტაქტები, გაცვლა-გამოცვლა კულტურის დარგში. ჩვენ ამ მიმართულებით მუშაობას გეგმაზომიერად გავაგრძელებთ. ის საგრძნობი შედეგები, რომლის მიღწევაც ჩვენ მოვახერხეთ, სრულად პასუხობს ჩვენი ორი ქვეყნის მოქალაქეთა ინტერესებს.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲠ ᲔᲠᲔᲕᲐ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲢᲠᲐᲛᲞᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲡᲘᲛᲞᲐᲗᲘᲐᲡ ᲐᲠ ᲛᲐᲚᲐᲕᲡ

ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ პრეზიდენტი აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის შესაძლო გავლენის თაობაზე პირველ კომენტარს აკეთებს და აცხადებს, რომ რუსეთი ამერიკელი ხალხის არჩევანში არ ერევა. ამ განცხადების მიუხედავად, ვლადიმერ პუტინმა დონალდ ტრამპის მიმართ სიმპათია არ დამალა და განაცხადა, რომ ის ექსტრავაგანტური, თუმცა რიგით ამომრჩევლებზე ორიენტირებულია.

**„ᲑᲔᲕᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲛᲒᲔᲑᲘᲐᲜᲘᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲩᲔᲜᲐ ᲑᲐᲠᲑᲐᲠᲝᲡᲔᲑᲘᲡᲒᲐᲜ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲛᲪᲕᲔᲚᲐᲓ, ᲛᲐ�გᲠᲐᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ ᲘᲡᲐᲐ, ᲠᲛ ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ ᲐᲠᲐᲕᲘᲖᲔ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲗᲛᲐᲡ ᲐᲠ ᲐᲞᲘᲠᲔᲑᲡ. ᲨᲔᲣᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ, ᲔᲡ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲣᲠᲘ ᲛᲘᲗᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲣᲑᲠᲐᲚᲝᲓ ᲘᲡᲢᲔᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲛᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲕᲔᲠ Ვ

◎ ლეგიონერი

როცა სნაიპერიც უძლურია

ამჯერად ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული ვერ მოიყვანა.

საქართველოს ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერ თორნიკე შენგელიაზე მოგახსენებთ, რომელმაც ევროლიგის ჯგუფური რაუნდის მეოთხე ტურის შეხვედრაში ყველაზე მეტი – 20 ქულა კი ჩააჩხრიალა „ბასკონიას“ ყულაბაში, მაგრამ მისი ასეთი შთამბეჭდავი პირადი მონაგარიც კი საკმარისი არ აღმოჩნდა მრისხანე მეტოქის – პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ დასამარცხებლად – 90:95.

ტრადიციისამებრ, ბერძნულ გრანდს ბასკეთში უბერებელმა ვასილის სპანულისმა ულიდერა 15 ქულითა და 15 შედეგიანი გადაცემით.

ასე რომ, „ჯვაროსნის“ კლუბს 2 გამარჯვების წილ 2 წაგება გაუხდა და ელადელებს ერთი წარმატებით ჩამორჩებიან, გათამაშების სატურნირო ცხრილში კი ერთპიროვნულად დაწინაურდა ჯერჯერობით უდანაკარგოდ მოთამაშე ცსკა.

დანარჩენი შედეგები: *ცსკა – „უნიქსი“ 98:80, „მილანი“ – „რეალი“ 90:101, „დარუშაფაკა“ – „ეფესი“ 89:94.*

ვიტალი ჯაფარიძე

◎ შენც, ბრუტუს?..

გალიანი „მილანიდან“ მიდის

„მილანს“ სილვიო ბერლუსკონის შემდეგ აღმასრულებელი დირექტორი ადრიანო გალიანიც ტოვებს. Gazzetta dello sport-ის ინ**ფორმაციით, მას შემდგომ, რაც ლომბარდიული კლუბი ჩინელების ხელში საბოლოოდ გადავა, გალიანი გუნდს შეელევა, ხოლო მის ადგილს მარკო ფასონე დაიკავებს.**

ამავე გამოცემის ცნობით, რთული წარმოსადგენია გალიანიმ სხვა კლუბში იმუშაოს, თუმცა, ფეხბურთიდან არ წავა – როგორც იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, დიდი შანსია ადრიანომ ლეგას (იტალიის საკლუბო ფეხბურთის ლიგა) პრეზიდენტის თანამდებობა ჩაიბაროს. ეს პოსტი მას 2002-2006 წლებში უკვე ეკავა.

ადრიანო გალიანის „მილანში“ 30 წელზე მეტი აქვს გატარებული და გუნდის ოქროს ხანა მის სახელთანაც ასოცირდება.

გიორგი შოთაძე

◎ აპრძალულია კბენაი, ღრენაი...

იტალიელი 9 კვირით დასაჯეს

იტალიის ეროვნული ნაკრებისა და „ძებრეს“ კვაჭი ოლივიერო ფაბიანი რაგბიდან წლის ბოლომდე მოკვეთეს და „აძურას“ ნოემბრის ტესტ-მატჩებში ვერ დაეხმარება.

23 ოქტომბერს ჩემპიონთა თასის მეორე ტურში მისი გუნდი ირლანდიურ „კონახტს“ მასპინძლობდა და 7:52 დამარცხდა. ამაში დიდი წვლილი 26 წლის კვაჭს მიუძღვის, რომელიც მეტოქის მეორეხაზელის დაკბენაში ამხილეს და 30-ე წუთზე წითელი ბარათით დასაჯეს. ასეთ დანაშაულს გაგრძელება მოჰყვა და სადისციპლინო კომიტეტმა საქმე დეტალურად განიხილა, რის შემდეგაც ფაბიანის 9-კვირიანი დისკვალიფიკაცია მიუსაჯა.

შესაბამისად, ის „ძებრეს“ კელტების ლიგის 6 და ჩემპიონთა თასის ორ თამაშში დააკლდება, აგრეთვე გამოტოვებს ნოემბრის ტესტ-მატჩებსაც, რომლის დროსაც იტალიის ნაკრები ახალ ზელანდიას, სამხრეთ აფრიკას და ტონგას უმასპინძლებს.

კობა კობახიძე

◎ არა – დოპინგს!

მიბაძეთ რუსებს და დაგიფასდებათ

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა რუსი მძლეოსანი იულია სტეპანოვა და მისი ქმარი – რუსეთის ანტიდოპინგური სააგენტოს ყოფილი თანამშრომელი ვიტალი სტეპანოვი წაახალისა. ოჯახური წყვილს, რომელმაც რუსული სპორტის საქმეები თავდაყირა დააყენა, სექტემბერში სოკ-ის პრეზიდენტი თომას ბახი პირისპირ შეხვდა, ახლახან კი სასიამოვნო სიურპრიზიც მოუწყო.



სწორედ ვიტალი და იულია სტეპანოვები არიან მთავარი მოქმედი პირები გერმანული ტელეარხის – ARD-ის მიერ გადაღებულ დოკუმენტურ ფილმებში, რომლებიც რუსულ სპორტში დოპინგის მოხმარებას ამხელენ. ისინი ასევე აქტიურად თანამშრომლობდნენ მსოფლიოს ანტიდოპინგურ სააგენტოსთან – WADA-სთან, რომელმაც ფილმების სააშკარაოზე გამოტანისთანავე საფუძვლიანი გამოძიება დაიწყო, შედეგად კი რუსეთის მძლეოსანთა სრული შემადგენლობა (სიგრძეზე მხტომელ დარია კლიშინას გამოკლებით) რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიური თამაშების გარეშე დატოვეს.

ვიტალი სტეპანოვი დოპინგ-კონტროლისა და სუფთა სპორტსმენების დაცვის საკითხებში სოკ-ის კონსულტანტი გახდა, იულია სტეპანოვას კი გრანტი გამოეყო, რათა მომავალი შეჯიბრებებისთვის მაქსიმალურად კომფორტულად მოემზადოს.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ გაკეთებული განცხადების თანახმად დოპინგის წინააღმდეგ ბრძოლა თანამედროვე სპორტში ერთ-ერთი უპირველესი ამოცანაა და სოკ-ი მიესალმება ყველას, ვინც ამ ბრძოლაში მონაწილეობას მიიღებს.

ბადრი იაშვილი

◎ რეტრო

ფეხბურთის ჩარლი ჩაპლინი

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები ჩილეში მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონის რანგში ჩავიდა. აიმორე მორეირას აღსაზრდელები ვინია დელ-მარში (III ჯგუფი) დაბანაკდნენ. პელე-გარინჩას ნაკრებმა 30 მაისს მექსიკის გუნდი 2:0 დაამარცხა. ბურთები გაიტანეს მარიო ზაგალომ და ფეხბურთის მეფემ – პელემ. მაგრამ ამ შეხვედრაში პელემ უმძიმესი ტრავმა მიიღო და მისთვის ჩილეს ჩემპიონატი დასრულდა. მაშინდელ კიროვის ბაღში, სადაც ღამეებს ათენებდნენ რჩეული ინტელიგენციის წარმომადგენლები, ამ ცნობას სიხარულით შეხვდნენ. უმეტესობა მათგანი სარკაზმული იუმორით მამშვიდებდა, რომ პელესათვის ეს პირველობა უკვე დასრულდა, რადგან ბრაზილიის ნაკრებს სამშობლოში გაგზავნიდა ალფრედო დი სტეფანოს ესპანეთის ნაკრები. ამ გუნდების პაექრობა 6 ივნისს იმავე სტადიონზე იყო დანიშნული. ნუ დარდობთ, ძმებო, იხტიბარს არ ვიტეხავდი. თუ პელე ვერ თამაშობს, გარინჩა მზად არის მთელი სიმძიმე თავის თავზე აიღოს. ასეთი მეტისმეტად ოპტიმისტური განცხადება ბაღელთა ხარხარს იწვევდა. მაგ კოჭლის იმედი გაქვს, ბიჭო? არ გრცხვენია, შე კაცო! მე ჯიუტად ვამბობდი: იცინის ის, ვინც ბოლოს გაიცინებს.

სამხრეთ ამერიკის დრო 7 საათით უსწრებს ჩვენსას. ბაღში ნიძლავებს დებდნენ, რომ ესპანელები წესს აუგებდნენ ბრაზილიელებს. რადიორეპორტაჟი ვინია დელ-მარიდან ღამის 12 საათზე უნდა დაწყებულიყო. კიროვის ბაღი დაცარიელდა. ყველა სახლში რეპორტაჟის მოსასმენად გავეშურეთ. როცა დიქტორმა ესპანელთა შემადგენლობა გამოაცხადა და მასში ალფრედო დი სტეფანოს გვარი არ იყო, შვებით ამოვისუნთქე, თუმცა, გული კინაღამ გამისკდა, როცა ესპანელმა როდრიგესმა პირველი ბურთი გაახვია ნევეს ჟილმარის კარში – 1:0. ეთერში ხშირად გაისმოდა მანე გარინჩას გვარი, რომელმაც პელეს ნაცვლად მოთამაშე 20 წლის ამარილდოსთან ერთად ორჯერ აიძულა ესპანელთა მეკარე არაკისტანი გამოეტანა ბურთი ბადიდან. საბოლოოდ 2:1 პაპუასების (ასე უწოდებდნენ ბაღში ბრაზილიელებს ზოგიერთები) სასარგებლოდ. ღამის 4 საათზე თავქუდმოგლეჯილი კიროვის ბაღში შევვარდი და ჩემი ზღვა სიხარული მხოლოდ ცნობილმა კალათბურთელმა ასტამურ აჩბამ გაიზიარა. ხელში ამიტაცა და განაცხადა – კოჭლმა გარინჩამ ბევრს სირცხვილი აჭამაო...

10 ივნისს, ისევ ვინია დელ-მარში, ბრაზილიელებს უკვე მეოთხედფინალური შეხვედრა ელოდათ ფეხბურთის სამშობლოს – ინგლისის ეროვნულ ნაკრებთან. თამაშის წინ ინგლისელთა მთავარი მწვრთნელი უოლტერ უინტერბოტომი ბრაზილიელთა საწვრთნელ ბაზაზე მთავარ მწვრთნელს აიმორე მორეირას სწვევია და შემდეგი განუცხადებია: „სენიორ მორეირა, ჩვენს ეროვნულ გუნდს არასოდეს დაუმარცხებია თქვენი ჯადოქრები. ახლა პელე აღარა გყავთ მწყობრში და ხვალ ინგლისის კოლექტივი პირველად იზეიმებს გამარჯვებას. ჩემი პროგნოზი უტყუარია. თუ გნებავთ, ერთ ბოთლ შამპანურზე დავნიძლავდეთ. აიმორე მორეირამ ღიმილით უპასუხა „ნუ ნერვიულობთ, მისტერ უოლტერ, ხისკენ გაიხედეთ, გეთაყვა. იქ ერთი კოჭლი ფეხბურთელი კენწლავს ბურთს. სტუმარმა ხისკენ გაიხედა და წამოიძახა – ეს გარინჩაა, ჩვენ მისი არ გვეშინია. იგი ინდივიდუალური თამაშით გამოირჩევა და ნაკლებად სახიფათოა ჩვენი მცველებისთვის, რომლებიც ადვილად გაუსწორდებიან მის ცრუ მოძრაობებს“.

ორი მწვრთნელის საუბარი 10 ივნისის დილის გაზეთებს პირველ გვერდებზე გამოუქვეყნებიათ. ნილტონ სანტოსს ხელში ჩავარდნია ერთი მათგანი და მან გარინჩა დაიმარტოხელა. „ტორტი“ (კოჭლს ნიშნავს), აქ წერია, რომ ინგლისელთა მცველები დღევანდელ შეხვედრაში ფეხს არ გაანძრევინებენო. შეგიძლია ბოლო მოუღო მათ მკვეხარა განცხადებას?

– ნილტონ, მიმართა გარინჩამ თავის „ბოტაფოგოელ“ მეგობარს. მითხარი, რა გვარია ამ ტრაბახა გრინგოსის გვარი? მანე, მე არ ვიცი მისი გვარი, შენც ადექი და ოთხივე მცველს გაუსწორდი. ერთი მათგანი უსათუოდ იგი იქნება. შენ სწორი ხარ, ნილტონ, ასეც მოვიქცევი. იმ ცხელი ივნისის შეხვედრაში გარინჩა შეუდარებელი იყო. იგი, როგორც წიწილებში ქორი, ისე დანავარდობდა ინგლისელთა მცველებში. იმის გარდა, რომ ორი ბურთი გაუტანა მეკარე სპრინჯეტს, მოაგებინა კიდეც თავის ნაკრებს – 3:1.

აღნიშნული შეხვედრის შემდეგ ბრაზილიელებს ბრწყინვალე გამარჯვება პირველმა უინტერბოტომმა მიულოცა, რომელმაც ჟურნალისტთა დიდი გუნდის წინაშე შესძახა: მიართვით ერთი ყუთი შამპანური სენიორ აიმორე მორეირას. ინგლისის ნაკრები ბრაზილიის გუნდმა კი არა, მანუელ გარინჩამ დაამარცხა. ჩვენ ბრაზილიური საფეხბურთო კონცერტის მსხვერპლი გავხდით, გარინჩა კი ფეხბურთის ნამდვილი ჯადოქარია. 18 ივნისს, ჩემი დაბადების დღეს, ბრაზილიის ნაკრებმა ფინალში 3:1 მოუგო ჩეხოსლოვაკიის ნაკრებს და მეორედ მოიპოვა ნიკეს ოქროს ქალღმერთი. კიროვის ბაღელებმა, როგორც იქნა, ბრაზილიელთა შეუდარებელ თამაშს მიაგეს სათანადო პატივი.

შალვა ძირია,
ვეტერანი სპორტული ჟურნალისტი

P. S. 18 ოქტომბერს მანუელ ფრანსისკო დოს სანტოს გარინჩას 83 წელი შეუსრულდებოდა.

„სტარტაპ მეგობრული“

„სტარტაპ მეგობრული“ — კიდევ ერთი ახალი პროექტი ბიზნესის ხელშეწყობისთვის, რომელიც დამწყები ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამა „სტარტაპ საქართველოს“ გაგრძელებაა, დაიწყო.

„სტარტაპ მეგობრული“ სტარტაპებს მსხვილ ბიზნესკომპანიებთან ურთიერთობის დამყარებაში დაეხმარება, ხოლო მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებს, სხვადასხვა დარგის განვითარების პროცესში ჩართვისა და ორმხრივად სასარგებლო ინვესტიციების განხორციელების საშუალებას მისცემს.

მთავრობის ოთხპუნქტიანი გეგმის ყველაზე ახალგაზრდული, ყველაზე პერსპექტიული და ოპტიმისტური პროდუქტი — ასე აფასებს „სტარტაპ საქართველოს“ პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, რომელიც ახალი პროექტის პრეზენტაციას დაესწრო.

„სტარტაპ ჯორჯიაც“, თავისთავად, ჩვენი მთავრობის სტარტაპია, რომელსაც გაცილებით დიდი უკუგება გააჩნია, ვინაიდან, იგი ტრანსფორმირდება ახალგაზრდების აზროვნების ახალი, გაცილებით დინამიკური, მომავალზე ორიენტირებული ბრენდის ჩამოყალიბებაში და ეს არის ამ პროგრამის ყველაზე დიდი შედეგი. ძალიან მოხარული ვარ, რომ დღეს გვყავს ამდენი გამარჯვებული ახალგაზრდა „სტარტაპ ჯორჯიას“ პირველ ტურში. თქვენ გაიმარჯვეთ კონკურენტულ, გამჭვირვალე კონკურსში, სადაც მონაწილეობდნენ არა მხოლოდ ადგილობრივი სტარტაპის ექსპერტები, არამედ venture-კაპიტალისტები, წამყვანი კომპანიების გენერალური დირექტორები „სილიკონ ველიდან“ და სხვადასხვა ქვეყნიდან. ვფიქრობ, ჩვენ ძალიან დიდი რამ დავიწყეთ — ქართული ეკონომიკის განვითარების სრულიად ახალი ფაზა, ახალი ეტაპი“, — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაური მიიჩნევს, რომ სტარტაპები ქართული ეკონომიკის ყველაზე დინამიკურ და სწრაფად მზარდ ნაწილს წარმოადგენენ.

გიორგი კვირიკაშვილის თქმით, ვერც ერთი მსხვილი ბიზნესი ვერ გაიზრდება იმ სიჩქარით, რა სიჩქარითაც შეიძლება გაიზარდოს ინოვაციური კომპანია.

გიორგი კვირიკაშვილმა აღნიშნა, რომ „სტარტაპ მეგობრული“ არ იქნება ერთ-ერთი ბოლო ნაბიჯი და მთავრობას აქვს ძალიან საინტერესო გეგმები, რომელიც ახალგაზრდებს გაცილებით მეტი ენთუზიაზმით აღავსებს.

პროექტ „სტარტაპ მეგობრულის“ პრეზენტაციას, რომელიც ტექნოპარკში გაიმართა, საქართველოს მთავრობის წევრები და როგორც დამწყები, ისე — მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ლადო იმედაძე

სანთელი

მეგობრის ხსოვნას

კიდევ ერთი გამორჩეული კაცი წავიდა წუთისოფლიდან. გარდაიცვალა ნოდარ ზედელაშვილი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, საზოგადო მოღვაწე, უღალატო მეგობარი.

1952 წელს დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი, რამდენიმე წლის საქმიანობის შემდეგ ორმოცი წელიწადი იმუშავა „საქინფორმში“, სადაც გაიარა გზა მთარგმნელიდან მთავარ რედაქტორამდე. თოთხმეტი წელი მუშაობდა საქართველოს „საზოგადოება ცოდნაში“ თავმჯდომარის მოადგილედ, მთავარ რედაქტორად. მიენიჭა საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება, დაჯილდოვდა ღირსების ორდენით.

სხვადასხვა თემაზე წერილების წერასთან ერთად გატაცებული იყო თარგმნით. თარგმნა და ცალკე წიგნებად გამოსცა ორლინ ვასილევის „დიდი ნული“, ფრანტიშეკ გეჩკოს სქელტანიანი რომანი „წითელი ღვინო“, აკადემიკოს ლევ კოლოდნის წიგნი „გული პალიტრაზე, ზურაბ წერეთელი“.

გულღია და გულკეთილი, მხარში მდგომი და მეგობრობის ეტალონი ნოდარ ზედელაშვილი იყო ცნობილი ქართველი მწერლების გურამ რჩეულიშვილის, გურამ გეგეშიძის, ერლომ ახვლედიანის, დათო ჯავახიშვილის, ნუგზარ წერეთლის უახლოესი მეგობარი და მათი მოყვარული.

ის იყო კაცი, ვის სახელსაც დავიწყება არ უწერია.

საქართველოს „საზოგადოება ცოდნა“

ხსოვნა

უახლოესი მეგობრები ანზორ ახვლედიანი, თემურ გიორგობიანი, ოთარ ცინცაძე, ოთარ ბრეგვაძე, ივა ბერაძე, გია მათეშვილი, გურამ კაკულია, უშანგი ვარდიაშვილი, ვოვა მარტინოვი, შედანი ნანიკაშვილი, ელიზბარ ლომინაძე, მერაბ გიორგაძე, ვახტანგ ვეფხვაძე, ფერდინარდ ლორთქიფანიძე, თამაზ გოგავა, ბონდო ნიბლაძე ოჯახებით იუწყებიან უაღრესად კეთილშობილი, პატიოსანი, ჭეშმარიტი ქართველი კაცის

დათო ბოჭორიშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახსა და ახლობლებს. დაკრძალვა 29 X. ქ. სოჭი.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება ღრმა მწუხარებით იუწყება გამოჩენილი ქართველი რეჟისორის, კოტე მარჯანიშვილის სახელობის პრემიის ლაურეატის, თეატრზე თავდაუზოგავად მზრუნველი და შეყვარებული ჩვენი საზოგადოების წევრის

ნუგზარ ლორთქიფანიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

საქართველოს თეატრალური საზოგადოება იუწყება საქართველოს დამსახურებული არტისტის, ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის მსახიობის

ლადო მექვაბიშვილის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს მის ოჯახს.

◎ გაზმომარაგება

ცისფერი საწვავის „გამართული“ გზები

წლების მანძილზე გამუდმებით იყო ლაპარაკი იმის თაობაზე, რომ საქართველოში ბუნებრივი გაზის მიწოდების ინფრასტრუქტურა სერიოზულ განახალებას საჭიროებს. მნიშვნელოვან დანაკარგებსაც თავი რომ დავანებოთ, რომელიც, ცხადია, გაუმართავი გაზის მილების ექსპლუატაციას ახლავს, ამას უდიდესი მნიშვნელობა უსაფრთხოების თვალსაზრისითაც აქვს. ამდენად, მეტად სასიხარულოა, რომ საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციამ ქვეყანაში ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის ათწლიანი პროგრამა შეიმუშავა, რომელიც 2016-2025 წლებში უნდა განხორციელდეს.



თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული პროექტის განხორციელებას, ამის გასარკვევად საკმარისია მხოლოდ ერთი ციფრის მოყვანა: **საქართველოს ჯამური ენერგობალანსის 40 პროცენტზე მეტი სწორედ ბუნებრივ გაზზე მოდის** და, ამდენად, ის ერთ-ერთი ყველაზე მეტად გამოყენებადი ენერგეტიკული რესურსია იმის მიუხედავადაც კი, რომ ის მთლიანად ქვეყნის ფარგლებს გარედანაა შემოტანილი. ჩვენთვის ბუნებრივი გაზის ყველაზე დიდი მომწოდებელია აზერბაიჯანი, საიდანაც მოხმარებული ენერგოშემცველის 90 პროცენტი შემოგვაქვს, დანარჩენს კი **რუსეთიდან** და **ირანიდან** ვღებულობთ და, იმის მიუხედავად, რომ გაზის მცირე საბადოები **საქართველოშიც** არის, ჩვენში მოპოვებული წილი მთლიან ოდენობაში ნახევარ პროცენტს არ აღემატება. არადა, ეს, რომ იტყვიან, ზღვაში წვეთია ყველაზე დინამიკურად განვითარებადი ენერგობაზრისთვის, რომელსაც ამჟამად 970 ათასზე მეტი დიდი თუ მცირე მომხმარებელი ჰყავს.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, სავსებით ბუნებრივია მთავრობის ზრუნვა გაზის ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გამართულად მუშაობისთვის, რა მიზნითაც ნავთობისა და გაზის კორპორაციაში ათწლიანი პროგრამის ფარგლებში გაზის არსებულ მილსადენთა რეაბილიტაცია-რეკონსტრუქციის, აგრეთვე, ახალი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების გეგმებია შემუშავებული. მთელი რიგი სამუშაო წელს უკვე დაიწყო და მათი დაფინანსებაც უზრუნველყოფილია. პირველი საინვესტიციო ეტაპის პროექტები კი 2017-2018 წლებში შესრულდება. ათწლეულის პროგრამაში განსახორციელებელი დანარჩენი პროექტები კი წლების მიხედვითაა გაწერილი და მათი დაფინანსების შესაძლო წყაროებიცაა მითითებული, აღნიშნულია ნავთობისა და გაზის კორპორაციის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

ათწლეულზე გათვლილი პროგრამის დასაბუთების დოკუმენტში საქართველოში ბუნებრივი გაზის ბაზრის ანალიზია წარმოდგენილი, განხილულია შეთავაზება-მოთხოვნილების, ენერგოშემცველის მოხმარებისა და მისი მოცულობის ზრდის ტენდენციები. ცალკეა ლაპარაკი საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოების გარკვეულ ასპექტებზე, დიდი ყურადღება აქვს დათმობილი ქვეყნის საერთაშორისო ენერგეტიკულ ორგანიზაციებში ინტეგრირების თემას, მოქმედი სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტაციების, ასევე საკანონმდებლო ბაზის საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებულ საკითხებს.

საბოლოო ანგარიშით, შეიძლება ითქვას, რომ **ბუნებრივი გაზის ტრანსპორტირების ინფრასტრუქტურის ათწლიანი პროგრამის მიზანია მომხმარებელთა მზარდი რიცხვის ენერგოშემცველით შეუფერხებლად მომარაგება,** რისთვისაც როგორც შიდა, ასევე ტრანსსასაზღვრო და ტრანზიტული ინფრასტრუქტურის არსებული ქსელების აღდგენა-რეაბილიტაცია და ახლების განვითარებაა აუცილებელი. აღსანიშნავია ისიც, რომ წარმოდგენილი პროგრამა საქართველოს ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში შესასვლელად აუცილებელ ვალდებულებათა ფორმალურ საფუძველს წარმოადგენს. მის განსახორციელებლად საერთაშორისო პრაქტიკაში მიღებულია მომხმარებელთა ბუნებრივი გაზის გარანტირებული უზრუნველყოფა, თანაც არა მხოლოდ ჩვეულებრივ ვითარებაში, არამედ ფორს-მაჟორულ სიტუაციებშიც.

ნინო ალექსანდრია

ბახტრიონზე მომხდარი დაჭრა გახსნილია!

შს მინისტრის ინფორმაციით, ბახტრიონის ქუჩაზე ორი ახალგაზრდა მამაკაცის (24 და 19 წლის ძმების) დაჭრის საქმე გახსნილია და ახალგაზრდების სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

„მძიმე მდგომარეობაში არ არიან, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები, დანაშაული გახსნილია. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას“, — განაცხადა შს მინისტრმა.

განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

გილოცავთ!

შპს „ენგურჰესის“ და შპს „ვარდნილჰესების კასკადის“ კოლექტივი ღრმა პატივისცემითა და დიდი სიყვარულით ულოცავენ საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტს, ღვაწლმოსილ ენერგეტიკოსს

ბატონ რევაზ არველაძეს

75 წლის იუბილეს. ვუსურვებთ წარმატებებს საზოგადოებრივ საქმიანობაში, ჯანმრთელობას და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

◎ ანეკდოტები

დიდი ხნის ცოლ-ქმარი ხრამის პირას გადმოსახედ მოედანზე დგანან.

— ძვირფასო, უცბად თავბრუ თუ დამესხა და გადავვარდი, ხომ გადამარჩენ? — ეჟღურტულება ცოლი.

— მე რომ გითხრა „კი“, შენ მართლა დაგეხვევა თავბრუ? — „მიამიტად“ ეკითხება ქმარი.

* * *

ორი ქერათმიანი ლამაზმანი ჭორაობს:

— იცი, შენი ქმარი ამ დილით თავის მდივან ქალთან ერთად ჰოლანდიაში გაფრინდა. შენ რას უყურებ?

— ნუ ხარ შენ ჭორიკანა, ეგ ამბავი სხვამაც მითხრა და უცბად გადავამოწმე: ჩემი ქმარი მართლაც ჰოლანდიაში წავიდა, მდივანი კი მივლინებით ნიდელანდში გაუშვა!

* * *

— **რა** იქნა ის სიმპათიური ახალგაზრდა კაცი ყოველ დღე თაიგულს რომ მოგართმევდა ხოლმე? — ეკითხება ქალიშვილი დაქალს.

— რა იქნა და მეყვავილე გოგონა შეირთო ცოლად...

* * *

— **მე** კიდევ ჩემი ძვირფასი წუხელ ღამე მეუბნება: რა გამხდარი ხარ, კარგო, წადი, რამდენიმე ნამცხვარი მაინც შეჭამე!

— უკაცრავად, მაგრამ... ეგ „შენი ძვირფასი“ ვინაა?

— ჩემი შინაგანი ხმა...

* * *

გადავწყვიტე დიეტის დაცვა: უარი ვთქვი ხინკალზე, ქაბაბზე, მწვადებზე, ლუდზე, ღვინოზე. საღამოს 6 საათის შემდეგ ჭამას თავი დავანებე... და, ერთ თვეში დავკარგე... კარგი, ლაღი, მხიარული, სისხლსავსე ცხოვრების 31 დღე!

ლამაზი, თან ფულის ყაირათიანად მხარჯველი...

ეკონომიური ქალბატონები უყაირათოდ ფულის მფლანგველ მანდილოსნებზე გაცილებით ტანადები არიან — ეს დასკვნა ჩატარებული კვლევის შემდეგ ნიუკასლის (ინგლისი) უნივერსიტეტის მეცნიერებს ეკუთვნით.

ერთნაირი სიმაღლის პიროებებში, ანგარიშიანად ფულის მხარჯველი დიასახლისები, საშუალოდ, დიდ მხარჯველებთან შედარებით, 3 კილოგრამით ნაკლებს იწონიდნენ.

მკვლევარები ამას იმით ხსნიან, რომ ეკონომიურ ქალებში თვითკონტროლის მექანიზმი უკეთაა განვითარებული, რაც მათ ცდუნებებისგან მეტად იცავს.

ყველაფერი ოდენობაზეა დამოკიდებული

ალკოჰოლი ქალებში უშვილობას იწვევს, აცხადებენ დანიელი მედიკოსები.

მეცნიერებმა გამოარკვიეს, რომ ყოველდღიურად ერთი ბოკალი ღვინის (ანუ 250 მილილიტრის, რაც კვირაში 14 ულუფას უდრის) მოხმარება, ფეხმძიმობის ალბათობას 18 პროცენტით ამცირებს.

ალკოჰოლის უსაფრთხო დოზა კი, რომელიც ჩასახვის უნარისთვის სრულიად უსაფრთხოა, კვირაში ერთიდან 13 ულუფამდეა.

◎ მსოფლიოს სიახლენი

ბოლო 2 კვირაში სირიაში 5 სკოლა დაიბომბა

ამ ინფორმაციას „იუნისეფი“ ავრცელებს. როგორც ორგანიზაციის დირექტორმა განაცხადა, ბოლო დაბომბვისას სირიის ჩრდილოეთ ნაწილში 22 ბავშვი და 6 მასწავლებელი დაიღუპა. მომხდარს გამოეხმაურა გაეროს გენერალური მდივანი. ბან კი მუნის თქმით, იმ შემთხვევაში, თუ იერიში შეგნებულად განხორციელდა, ეს სამხედრო დანაშაულად შეფასდება.

პირველი ლედი არჩევნებში მხარს ყოფილ პირველ ლედის უჭერს

შეერთებული შტატების პირველი ლედი საზოგადოების წინაშე დემოკრატიული პარტიის საპრეზიდენტო კანდიდატთან ერთად გამოჩნდა. შეხვედრა ჩრდილოეთ კაროლინაში შედგა. მიშელ ობამამ ამომრჩევლებს ჰილარი კლინტონის მხარდაჭერისკენ მოუწოდა და მას პრეზიდენტობის ღირსეული კანდიდატი უწოდა. დონალდ ტრამპის სექსუალური სკანდალის ფონზე ყოფილმა სახელმწიფო მდივანმა და პირველმა ლედიმ სიტყვით გამსოვლისას ყურადღება ქალთა უფლებების დაცვაზე გაამახვილეს.

მანიფესტაცია ძალის გამოყენებით დაშალეს

არეულობაა ჩრდილოეთ დაკოტაში. ადგილობრივებმა ახალი ნავთობსადენის მშენებლობა გააპროტესტეს. აქცია პოლიციასთან შეტაკებში გადაიზარდა. სამართალდამცველებმა და სამხედროებმა დემონსტრანტები ძალის გამოყენებით დაშალეს. არეულობა მას შემდეგ დაიწყო, რაც დემონსტრანტებმა ნავთობსადენის მშენებლობის ადგილას ბარიკადები აღმართეს. პოლიციამ 20-მდე აქტივისტი დააკავა. ადგილობრივების თქმით, ახალი ნავთობსადენის აშენება წყლის დაბინძურებასა და მიმდებარე ტერიტორიაზე კულტურული ძეგლების დაზიანებას გამოიწვევს.

◎ სულიერება

ზენონ იყალთოელი

29 ოქტომბერს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო წმიდა ეკლესია იხსენიებს ერთ-ერთ მოწაფეს იოანე ზედაზნელისას — ზენონ იყალთოელს.

ცნობილია, რომ ერთ-ერთმა ასურელმა მამამ იოანემ ზედაზენის მონასტერი დააარსა. იოანემ თავისი მოწაფეები ქართლისა და კახეთის სხვადასხვა მხარეში დაგზავნა ქრისტიანობის გასავრცელებლად და ეკლესია მონასტრების დასაარსებლად.

საქართველოში მოსვლის დღიდანვე ქართლის კათოლიკოსი ევდავიოსი დიდ დახმარებას უწევდა ზენონ იყალთოელს.

სწორედ იოანე ზედაზნელმა მიავლინა ზენონი იყალთოს მონასტერში.

VI-VII საუკუნეებში ზენონ იყალთოელმა დააარსა იყალთოს მონასტერი. საქართველოს ამ კუთხეში მისმა მოღვაწეობამ დიდად შეუწყო ხელი კახეთში ქრისტიანული ეკლესიის განმტკიცებას.

გიული ლიპარტია

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქოგულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4080; ევრო - 2.6303;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 2.9385;
100 რუბლი - 3.8679; თურქული ლირა - 0.7810;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4515;
1000 სომხური დრამი - 5.0641.

ამინდი 28 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +1,	დღე +18
მთიანი რაიონები -	ღამე -2,	დღე +17
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +6,	დღე +20
მთიანი რაიონები -	ღამე +2,	დღე +17
თბილისი:	ღამე +3,	დღე +17

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE